



საქართველოს  
სახალხო დამცველი

საქართველოს სახალხო დამცველი

პრევენციის ეროვნული მექანიზმი

ანგარიში N6 პენიტენციურ დაწესებულებაში ვიზიტის შესახებ

(2015 წლის 15 სექტემბერი, 2016 წლის 10 თებერვალი)



[www.ombudsman.ge](http://www.ombudsman.ge)

## სარჩევი

1. შესავალი .....	3
2. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა.....	6
3. უსაფრთხოება .....	13
4. პატიმრობის პირობები .....	22
4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა.....	22
4.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები .....	25
5. სამედიცინო მომსახურება .....	29
6. კვება .....	35
7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება.....	36
8. კონტაქტი გარე სამყაროსთან .....	39

## 1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის მიერ 2015 წლის 15 სექტემბერსა და 2016 წლის 10 თებერვალს N6 პენიტენციურ დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის ანგარიშს. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან ერთად, დაწესებულების მონიტორინგში მონაწილეობას იღებდნენ სახალხო დამცველის აპარატის სისხლის სამართლის მართლმსაჯულების, გენდერული თანასწორობისა და თანასწორობის დეპარტამენტის თანამშრომლები.<sup>1</sup> ანგარიშის მომზადებისას სხვა მასალასთან ერთად გამოყენებული იქნა სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტში მონაწილე წევრების ტექნიკური ანგარიშები. ვიზიტის დროს მოპოვებული დოკუმენტაცია, ასევე მონიტორინგის ჯგუფის წევრთა ანგარიშები ინახება საქართველოს სახალხო დამცველის აპარატში. ანგარიში შეიცავს მონიტორინგის ჯგუფის ძირითად მიგნებებს და შედგენილია იმგვარად, რომ ინტერვიუს კონფიდენციალური ხასიათიდან გამომდინარე, არ მოხდეს რესპონდენტ პატიმართა იდენტიფიკაცია. ვიზიტის მიმდინარეობის დროს მონიტორინგის ჯგუფის წევრები დაუბრკოლებლად გადაადგილდებოდნენ დაწესებულების ტერიტორიაზე და ადმინისტრაციის მხრიდან მონიტორინგისთვის ხელის შეშლას ადგილი არ ჰქონია. თუმცა, აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებს არ მისცეს საშუალება გაცნობოდნენ ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის დაწესების შესახებ დირექტორის ბრძანებებზე თანდართულ უსაფრთხოების განყოფილების შუამდგომლობებს, რადგან, მათივე განმარტებით, შუამდგომლობებში ასახული ინფორმაცია წარმოადგენდა საიდუმლოებას. ამდენად, ჯგუფის წევრებმა ვერ შეძლეს, შეეფასებინათ, თუ რამდენად დასაბუთებული ან/და პროპორციული იყო აღნიშნული ღონისძიებების გამოყენება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ ორგანული კანონით მინიჭებული უფლებამოსილების მიუხედავად, საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულებს არ ეძლევათ შესაძლებლობა გაეცნონ ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით განხორციელებული მეთვალყურეობის ვიდეოჩანაწერებს პენიტენციურ დაწესებულებებში.

N6 დაწესებულება პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაა,<sup>2</sup> რომელიც განკუთვნილია 1601 პატიმრის განთავსებისთვის. 2015 წლის 15 სექტემბერს განხორციელებული ვიზიტის დროს დაწესებულებაში იმყოფებოდა 121 პატიმარი, ამათგან 117 მსჯავრდებული<sup>3</sup> და 4 ბრალდებული, ხოლო 2016 წლის 10 თებერვალს განხორციელებული ვიზიტის დროს, დაწესებულებაში იყო 165 პატიმარი.

<sup>1</sup> სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრები: ნიკა კვარაცხელია, დანიელ მგელიაშვილი, ხატია ხელაძე, მერი სამსონია, თეიმურაზ რეხვიაშვილი, კახაბერ გოგაშვილი, ნესტან ლონდარიძე, მაია ცირამუა. გენდერული თანასწორობის დეპარტამენტი: მერი მაღლაფერიძე. სისხლის სამართლის მართლმსაჯულების დეპარტამენტი: ეკა ხუციშვილი. თანასწორობის დეპარტამენტი: მარიეტა ახვლედიანი.

<sup>2</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N 106 ბრძანება, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ.

<sup>3</sup> ამათგან 25 პატიმარი დასაქმებული იყო დაწესებულების სამეურნეო სამსახურში.

2016 წლის 10 თებერვალს, N6 დაწესებულებაში განხორციელებული განმეორებითი ვიზიტის მიზანი იყო N7 დაწესებულებიდან გადაყვანილი საშიშროების მაღალი რისკის მსჯავრდებულების მდგომარეობისა და საცხოვრებელი პირობების შემოწმება.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში 2014 წლიდან დაიწყო და ვიზიტის განხორციელების დროს<sup>4</sup> დასრულებული იყო? კაპიტალური სარემონტო სამუშაოები, რაც დაწესებულებაში არსებული საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას ემსახურება. 2015 წელს დაწესებულების პირველ და მეორე სარეჟიმო კორპუსებში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, 11 სამარტოო საკანსა და 15 უსაფრთხო<sup>5</sup> ოთახში დამონტაჟდა ხელოვნური ვენტილაციის სისტემები, სასადილო-სამზარეულოს შენობა გარემონტდა კაპიტალურად.

აღსანიშნავია, რომ N6 დაწესებულებაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს აშკარა იყო ადმინისტრაციისა და პატიმრებს შორის დამაბული, კონფლიქტური ურთიერთობა. ჯგუფის წევრებთან საუბრისას ადმინისტრაციის წარმომადგენლები ავლენდნენ პატიმრების მიმართ დამამცირებელ და აგრესიულ დამოკიდებულებას.

ვიზიტის დროს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მიიღეს ერთი შეტყობინება პატიმრის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ, კერძოდ, მან განაცხადა, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები მასზე ახორციელებდნენ ფსიქიურ ზეწოლას, რაც გამოიხატებოდა მუქარაში და დამინებაში.

შემოწმებისას გაირკვა, რომ დაწესებულებაში ადგილი აქვს გაურკვეველი წარმომავლობის, ასევე საექვო ხასიათის და ლოკალიზაციის ტრავმებს. აქ საუბარია შემთხვევებზე, როდესაც პატიმარი დაზიანების წარმომავლობად უთითებს საყოფაცხოვრებო ტრავმას, თუმცა დაზიანების ლოკალიზაცია და ხასიათი ეჭვს ბადებს, რომ დაზიანება შეიძლება მიყენებული იყოს სხვა პირის მიერ. ამასთან, საგულისხმოა, რომ N6 დაწესებულებაში დაზიანებების დოკუმენტირება არ ხდება „სტამბოლის პროტოკოლით“ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად.

შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ ელექტრონული მეთვალყურეობის დაწესების შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანებები არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რა გარემოებების გამო გახდა აუცილებელი ასეთი ზომის გამოყენება. ზოგიერთ შემთხვევაში მეთვალყურეობის დაწესება ხდება ისეთი საფუძველით, რაც პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არ არის, ასე მაგალითად, აღნიშნული ნაწილი არ ითვალისწინებს მეთვალყურეობის დაწესებას შემდგომი პროფილაქტიკის მიზნით, შესაბამისად, ასეთი მეთვალყურეობა არ ემსახურება პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ლეგიტიმურ მიზანს და ამრიგად, უკანონოა.

<sup>4</sup> 2016 წლის 10 თებერვალი.

<sup>5</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N108 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების 27-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ აშკარაა, რომ ბრალდებული/მსჯავრდებული საფრთხეს უქმნის ან შეიძლება შეუქმნას საკუთარ ან სხვის სიცოცხლეს, ჯანმრთელობას ან/და ქონებას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის არსებობის შემთხვევაში, იგი შეიძლება გადაყვანილ იქნეს უსაფრთხო ოთახში, დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით.

ახალგაზრდობისთვის საკანონმდებლო საკანონმდებლო არსებულ საპირფარეშოებს აქვს ნახევრად იზოლირებული კარი, საკანონმდებლო დამონტაჟებულია ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემა (ვიდეოკამერები), რომლის არეალშიც ექცევა საპირფარეშოს სივრცე და უზრუნველყოფილი არ არის პატიმრის პრივატულობა. საცხოვრებელ საკანონმდებლო არსებულ საპირფარეშოებში დამონტაჟებული არ არის ხელოვნური ვენტილაცია, ხოლო საკანონმდებლო არსებულ ვენტილაცია არასაკმარისია.

დაწესებულებაში პრაქტიკულად არ ხორციელდება ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო აქტივობები. პატიმრებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტერესო აქტივობით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ პრაქტიკულად შეუძლებელია კონფიდენციალური საჩივრის გაგზავნა ისე, რომ არ მოხდეს საჩივრის ავტორის იდენტიფიცირება. მართალია, სამორიგო ოთახიდან გამოტანილი იქნა ტელეფონის აპარატები, მაგრამ კვლავ პრობლემად რჩება სატელეფონო საუბრის კონფიდენციალობის დაცვა.

გარდა ზემოაღნიშნულისა, N6 დაწესებულების დებულების თანახმად, მსჯავრდებულები ვალდებული არიან დაწესებულების დირექტორს მიაწოდონ მათი საკონტაქტო ნომრები, რომლებთანაც განახორციელებენ სატელეფონო ზარებს.<sup>6</sup> ამ ნომრების გარდა, ვერ შეძლებენ სხვა სატელეფონო ნომრებზე ზარის განხორციელებას, თუ ხელახლა არ მიმართავენ დაწესებულების დირექტორს წერილობით და არ შეცვლიან ან/და დაამატებენ ტელეფონის ნომერს. ამ შემთხვევაში პრობლემური ხდება პატიმრის მიერ ისეთ უწყებებთან დაკავშირება, როგორცაა სახალხო დამცველი, გენერალური ინსპექციები და სხვა, ვინაიდან აღნიშნულ ნომრებზეც მოქმედებს ეს წესი.

უნდა აღინიშნოს, რომ გაიზარდა 2015 წელს დისციპლინური სახდელის დაკისრების პრაქტიკა. 2014 წლის მანძილზე N6 დაწესებულებაში საშუალოდ მოთავსებული იყო 378 პატიმარი, 2015 წელს კი 123. მიუხედავად პატიმართა რაოდენობის შემცირებისა, დისციპლინური სახდელის დაკისრების პრაქტიკა 34,3 % -ით გაიზარდა წინა წელთან შედარებით.

განხორციელებული ვიზიტების შედეგად, დადგინდა, რომ დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების უმეტესობას პრობლემები აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით. აუცილებელია იმ პატიმართა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, რომლებიც სისტემატურად ავლენენ ანტისოციალურ ქცევას და არსებობს ეჭვი, რომ ასეთი ქცევა სწორედ მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობით შეიძლება იყოს განპირობებული. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში 2015 წლის აგვისტოსთვის ჩათვლით დაფიქსირებული იყო 205 თვითდაზიანების შემთხვევა. ამასთან, პატიმრების დაახლოებით მესამედს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პატიმრები უზრუნველყოფილი იქნან დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებით, რისთვისაც აუცილებელია დაწესებულებაში დამატებული იქნას ფსიქიატრის შტატი.

---

<sup>6</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N108, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ; მუხლი 43, პუნქტები 1,2 და 3.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ კვლავ პრობლემურია ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის მეშვეობით, ასეთ შემთხვევაში პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია ფიზიკური გამყოფი ბარიერები, მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური ურთიერთობის საშუალება იყოს აღიარებული ნორმა.

## 2. წამება და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობა

სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტის მე-10 მუხლის თანახმად, ყველა თავისუფლებააღკვეთილ პირს აქვს უფლება, რომ ჰუმანურად მოექცნენ და პატივი სცენ მის ადამიანის პიროვნებისათვის დამახასიათებელ ღირსებას. გაეროს ადამიანის უფლებათა კომიტეტის განმარტებით, „ადამიანის ღირსების პატივისცემა წარმოადგენს საერთაშორისო სამართლის ნორმას, რომლისგანაც დაუშვებელია ყოველგვარი გადახვევა.“<sup>7</sup>

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო არაერთ განჩინებაში უსვამს ხაზს, რომ კონვენციის მე-3 მუხლის თანახმად, სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირის მიერ სასჯელის მოხდა ადამიანის ღირსების პატივისცემის პირობებში, რომ სასჯელის აღსრულებამ არ გამოიწვიოს განსაცდელი და ტანჯვა, რომლის ინტენსივობაც გადააჭარბებს პატიმრობის თანმდევ, გარდაუვალ ტანჯვას და რომ პატიმრობის პრაქტიკული მოთხოვნებიდან გამომდინარე, პიროვნების ჯანმრთელობა სათანადოდ უნდა იქნას უზრუნველყოფილი.<sup>8</sup> სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ პატიმრობაში ყოფნის პირობების შეფასებისას გასათვალისწინებელია მათი კუმულატიური ეფექტი, ისევე როგორც მომჩივნის კონკრეტული ბრალდებები.<sup>9</sup>

აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა მიიღეს შეტყობინება ერთ-ერთი პატიმრის მიმართ სავარაუდო არასათანადო მოპყრობის ფაქტის შესახებ, კერძოდ, პატიმრის განმარტებით, დაწესებულების ადმინისტრაციის თანამშრომლები მასზე ახორციელებდნენ ფსიქოლოგიურ ზეწოლას, რაც გამოიხატებოდა მუქარაში და დაშინებაში. საგულისხმოა, რომ საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები 2015 წლის 18 სექტემბერს კვლავ შეხვდნენ მითითებულ პატიმარს. მან განმარტა, რომ 2015 წლის 15 სექტემბერს სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან შეხვედრის შემდეგ, მას შეხვდნენ N6 დაწესებულების დირექტორის მოადგილე, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის უფროსი, უსაფრთხოების განყოფილების უფროსი და დაწესებულების სხვა თანამშრომლები. მსჯავრდებულის მტკიცებით, ხსენებული პირები მას აყენებდნენ სიტყვიერ შეურაცხყოფას და მოითხოვდნენ საქართველოს სახალხო დამცველთან კომუნიკაციის შეწყვეტას. მისივე განმარტებით, ანალოგიური მოთხოვნებით მასზე ზეწოლა განახორციელეს მეორე დღესაც – 16 სექტემბერს, რის გამო, 2015 წლის 16 სექტემბერს დაახლოებით 19:00 – 20:00 საათზე მსჯავრდებულმა სცადა თვითმკვლელობა.

<sup>7</sup> გაეროს ზოგადი კომენტარი No 29, საგანგებო მდგომარეობა (მუხლი 4), CCPR/C/21/Rev.1/Add.11, 31 აგვისტო 2001, პარაგრაფი 13ა.

<sup>8</sup> იხ. Valašinas v. Lithuania, no. 44558/98, § 102, ECHR 2001-VIII; ასევე Kudła v. Poland [GC], no. 30210/96, § 94, ECHR 2000-XI

<sup>9</sup> იხ. Dougoz v. Greece, no. 40907/98, § 46, ECHR 2001-II

პატიმრის გადმოცემით, სუიციდის მცდელობის შემდეგ მასთან საკანში შევიდნენ დაწესებულების დირექტორის მოადგილე, დაწესებულების სამართლებრივი რეჟიმის განყოფილების უფროსი და უსაფრთხოების განყოფილების უფროსი, რა დროსაც ამ უკანასკნელმა მიაყენა სიტყვიერი შეურაცხყოფა და ხელი გაართვა სახეში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს სახალხო დამცველმა შემდგომი რეაგირებისთვის მიმართა საქართველოს მთავარ პროკურატურას.<sup>10</sup> მთავარი პროკურატურიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად,<sup>11</sup> დაიწყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, ხსენებული პატიმრის თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე.

წამების წინააღმდეგ ბრძოლის უმნიშვნელოვანეს კომპონენტს წარმოადგენს წამების წინააღმდეგ კონვენციის მე-13<sup>12</sup> და მე-14<sup>13</sup> მუხლებით ნებისმიერი პირისათვის გარანტირებული სახელმწიფო ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრის სწრაფად და მიუკერძოებლად განხილვის უფლება, მომჩივნისა და მოწმეთა ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისაგან ან დაშინებისგან დაცვა და აგრეთვე, წამების მსხვერპლთათვის სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის უზრუნველყოფა.<sup>14</sup> მომჩივანს არ უნდა მიადგეს რაიმე ზიანი წარდგენილი მოთხოვნის ან საჩივრის გამო.<sup>15</sup>

საჩივრების წარდგენის და განხილვის ეფექტური პროცედურა წამების პრევენციის სისტემის ეფექტიანი ფუნქციონირებისათვის მნიშვნელოვან ხერხემალს წარმოადგენს. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის ანგარიშებში მუდმივად უსვამს ასეთი პროცედურის მნიშვნელობას და საჩივრის წარდგენის უფლებით სარგებლობისათვის რეპრესიებისა და სანქციების დაუშვებლობას. კერძოდ, კომიტეტი აღნიშნავს, რომ „საჩივრების განხილვის ეფექტური მექანიზმი წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისაგან დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას და ამავდროულად, ის ზოგადად ხელს უწყობს ციხის სათანადო მართვას.“<sup>16</sup>

<sup>10</sup> სახალხო დამცველის აპარატის 2015 წლის 29 სექტემბრის N15-4/7899 წერილი.

<sup>11</sup> საქართველოს მთავარი პროკურატურის 2015 წლის 14 ოქტომბრის N13/64251 წერილი.

<sup>12</sup> „ყოველი მონაწილე სახელმწიფო ნებისმიერი პირისათვის, რომელიც ამტკიცებს, რომ იგი აწამეს ამ სახელმწიფოს იურისდიქციაში შემავალ ნებისმიერ ტერიტორიაზე, უზრუნველყოფს ამ სახელმწიფოს კომპეტენტური ხელისუფლების წინააღმდეგ საჩივრის წარდგენის და მათ მიერ ასეთი საჩივრის სწრაფად და მიუკერძოებლად განხილვის უფლებას. მიიღება ზომები საჩივრის ან ნებისმიერი მოწმის ჩვენებების გამო მომჩივნის და მოწმეთა ნებისმიერი ფორმის უხეში მოპყრობისაგან ან დაშინებისაგან დასაცავად“.

<sup>13</sup> „1. ყოველი მონაწილე სახელმწიფო თავის სამართლებრივ სისტემაში უზრუნველყოფს, რომ წამების მსხვერპლი იღებდეს ანაზღაურებას და მას ჰქონდეს სამართლებრივი სანქციით განმტკიცებული სამართლიანი და ადეკვატური კომპენსაციის, მათ შორის რაც შეიძლება სრული რეაბილიტაციისათვის საჭირო სახსრების მიღების უფლება. წამების შედეგად მსხვერპლის სიკვდილის შემთხვევაში კომპენსაციის უფლება ეძლევათ მის კმაცოფაზე მყოფთ.

2. ამ მუხლში არაფერი არ ეხება მსხვერპლის ან სხვა პირის კომპენსაციის ნებისმიერ უფლებას, რომელიც შეიძლება არსებობდეს ეროვნული კანონმდებლობით“.

<sup>14</sup> „კონვენცია წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობის და დასჯის წინააღმდეგ“, რეზოლუცია მიღებულია გენერალური ასამბლეის მიერ 1984 წლის 10 დეკემბერს, A/RES/39/46.

<sup>15</sup> გაეროს ნებისმიერი ფორმით დაკავებულთა ან პატიმრობაში მყოფ პირთა დაცვის პრინციპთა ერთობლიობა, პრინციპი 33.

<sup>16</sup> წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის ანგარიში 1997 წლის 8-17 სექტემბერს გაერთიანებულ სამეფოში და კუნძულ მენზე განხორციელებული ვიზიტის შესახებ, CPT/Inf (2000), პარ. 151, ხელმისაწვდომია

სპეციალური პრევენციული ჯგუფი მიიჩნევს, რომ მსგავს შემთხვევებში, როდესაც პატიმარი მიუთითებს დაწესებულების ადმინისტრაციის და მით უფრო, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი პირების მხრიდან მის მიმართ არასათანადო მოპყრობის ფაქტზე, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს იმას, რომ პატიმარი არ გახდეს დამატებითი რეპრესიების მსხვერპლი მისი საჩივრის წარდგენის გამო და მიღებულ უნდა იქნეს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის გზით, რათა უზრუნველყოფილი იყოს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო ფაქტის ეფექტური გამოძიება და მსხვერპლის დაცვა რეპრესიებისგან.<sup>17</sup>

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2015 წლის 15 სექტემბერს N6 პენიტენციურ დაწესებულებაში შეამოწმეს დაზიანებების აღრიცხვის ჟურნალი. დაწესებულებაში დაზიანებით შესახლების და ადგილზე დაზიანების მიყენების მონაცემები შემდეგნაირად გამოიყურება:

N	2015 წლის 8 თვის მონაცემები დაზიანებების შესახებ	თვეები												
		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი	სულ
1	თვითდაზიანებით შემოსულ ბრალდებულთა რაოდენობა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	1
2	საყოფაცხოვრებო ტრავმით შემოსულ ბრალდებულთა რაოდენობა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
3	სხვის მიერ მიყენებული ტრავმით შემოსულ ბრალდებულთა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/gbr/2000-01-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 17.07.2015].

<sup>17</sup> წამების პრევენციის კომიტეტი არასათანადო მოპყრობის ფაქტების ეფექტიანი გამოძიების ერთ-ერთ უმთავრეს კრიტერიუმად ადგენს, რომ გამოძიების პერიოდში არასათანადო მოპყრობის შესაძლო მსხვერპლი არავითარ შემთხვევაში არ უნდა იმყოფებოდეს იმ პირთა ზედამხედველობის ქვეშ, რომლებმაც სავარაუდოდ განახორციელეს მის მიმართ არასათანადო მოპყრობა. (წამების პრევენციის კომიტეტის მოხსენება ალბანეთში 2005 წლის 23 მაისიდან 3 ივნისამდე განხორციელებულ ვიზიტთან დაკავშირებით CPT/Inf(2006) 24, პუნქტი 52. იხილეთ ასევე წამების პრევენციის კომიტეტის 2007 წლის 13 მაისს გაკეთებული საჯარო განცხადების I დანართი რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკასთან დაკავშირებით CPT/Inf (2007) 17, პუნქტი 53).



	რაოდენობა													
4	დაუზუსტებელი ტრავმით შემოსულ ბრალდებულთა რაოდენობა	0	0	0	0	0	0	1	0	0	1	0	0	1
5	თვითდაზიანებით შემოსულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
6	საყოფაცხოვრებო ტრავმით შემოსულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
7	სხვის მიერ მიყენებული ტრავმით შემოსულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	0	0	0	0	0	0	0	0	1	0	0	1
8	დაუზუსტებელი ტრავმით შემოსულ მსჯავრდებულთა რაოდენობა	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	0	1
9	დაწესებულებაში თვითდაზიანების შემთხვევათა რაოდენობა	26	21	34	23	49	20	20	12	7	17	33	14	276
10	დაწესებულებაში საყოფაცხოვრებო ტრავმების შემთხვევათა რაოდენობა	3	10	9	6	9	8	13	10	14	9	3	5	99
11	დაწესებულებაში სხვის მიერ მიყენებული	0	2	0	0	0	0	2	0	2	0	0	0	6

	ტრავმების შემთხვევათა რაოდენობა													
12	დაწესებულებაში დაუზუსტებელი ტრავმების შემთხვევათა რაოდენობა	1	0	0	0	0	0	0	1	0	0	0	0	2
13	სუიციდის მცდელობა	1	0	1	1	6	4	3	2	0	0	0	0	18
14	სუიციდი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0

საგულისხმოა გაურკვეველი წარმომავლობის, ასევე საექვო ხასიათის და ლოკალიზაციის ტრავმები. აქ საუბარია შემთხვევებზე, როდესაც პატიმარი დაზიანების წარმომავლობად მიუთითებს საყოფაცხოვრებო ტრავმას, თუმცა დაზიანების ლოკალიზაცია და ხასიათი ეჭვს ბადებს, რომ დაზიანება შეიძლება მიყენებული იყოს სხვა პირის მიერ. ასე მაგალითად:

- მარცხენა თვალბუდის და ლოყის არეში სისხლნაჟღენთი და ექსკორიაციები – საპირფარეშოს კარს დაეჯახა;
- მარჯვენა თვალბუდის ჰიპერემია, სისხლნაჟღენთი. მარცხენა მხრის ზედაპირზე სისხლნაჟღენთი – საპირფარეშოდან გამოსვლისას გაუცურდა ფეხი და დაეჯახა კედელს;
- მარცხენა ყურის ბიბილოს არეში ნახეთქი ჭრილობა, შუბლზე სისხლნაჟღენთი – საწოლის მეორე იარუსიდან ჩამოსვლისას თავი მიარტყა საწოლის კიდეს;
- სისხლნაჟღენთი თავის არეში – საპირფარეშოდან გამოსვლისას დაეხვა თავბრუ და თავი მიარტყა კედელს;
- თხემის არეში სისხლნაჟღენთი – საკანში კარს მიარტყა თავი;
- მარცხნივ შუბლის არეში და გულმკერდის არეში სისხლნაჟღენთები – საკანში დაეჯახა კედელს;
- ცხვირზე ნაკაწრი, ხელის მტევნის ჰიპერემია, ნაკაწრები თითებზე, კისრის არეში სისხლნაჟღენთი და ზურგის ქვედა არეში სისხლნაჟღენთი, ნაკაწრებით – საწოლის მეორე იარუსიდან ჩამოსვლისას გაუცურდა ფეხი და დაარტყა საწოლის კიდეს.

ზემოაღნიშნულ მაგალითებში დაზიანებების ხასიათი და ლოკალიზაცია ბადებს გონივრულ ეჭვს, რომ პატიმრის განმარტება დაზიანების წარმომავლობის შესახებ დიდი ალბათობით არ შეესაბამება სინამდვილეს და დაზიანება შეიძლება მიყენებულია სხვა პირის მიერ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ როდესაც დაზიანების მიზეზად პატიმარი მიუთითებს საყოფაცხოვრებო ტრავმას, აუცილებელია მოხდეს სხეულის სრულყოფილად დათვალიერება, სხვა დაზიანებების აღმოჩენის მიზნით, რათა გაირკვეს აქვს თუ არა მას სხვა დაზიანებები, ასევე შეიძლებოდა თუ არა პატიმარს ეს დაზიანება მიეღო იმ გარემოებებში, რომლის შესახებაც ის შემოწმების დროს უთითებს და ხომ არ არსებობს ეჭვი, რომ მის მიმართ განხორციელდა ძალადობა.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის რეკომენდაციის თანახმად, დახურულ დაწესებულებაში პირის სამედიცინო შემოწმებისას შედგენილი დოკუმენტაცია უნდა შეიცავდეს:

- შემოწმებული პირის მიერ მიწოდებულ ყველა ინფორმაციას, რომელიც საჭიროა სამედიცინო შემოწმებისთვის (მათ შორის, მის მიერ საკუთარი ჯანმრთელობის მდგომარეობის აღწერას და არასათანადო მოპყრობასთან დაკავშირებულ ყველა განცხადებას);
- სამედიცინო გამოკვლევაზე დაფუძნებული ობიექტური სამედიცინო დასკვნების სრულ აღწერას;
- ექიმის დასკვნებს ზემოაღნიშნულ პუნქტებთან მიმართებით, რომელიც უნდა მიანიშნებდეს პირის მიერ გამოთქმული პრეტენზიების ობიექტურ სამედიცინო დასკვნებთან შესაბამისობის ხარისხზე.

მითითებული ჩანაწერები ასევე უნდა შეიცავდეს ინფორმაციას ყველა დამატებითი გამოკვლევის, გაკეთებული დასკვნების და გაწეული სამედიცინო დახმარების შესახებ. სხეულის დაზიანების დოკუმენტირებისთვის უნდა შემუშავდეს სპეციალური ფორმები, რაც საშუალებას მოგვცემს, დაზიანების შესახებ ინფორმაცია ანატომიური ილუსტრაციების მეშვეობით დაფიქსირდეს. ამასთან, სასურველი იქნებოდა დაზიანებების დაფიქსირება ფოტოგადაღების მეთოდით.<sup>18</sup>

წამების პრევენციის მიზნით, სხეულზე არსებული დაზიანებების ფოტოგრაფირების მეთოდით დაფიქსირების აუცილებლობაზე მიუთითებს წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო – „სტამბოლის პროტოკოლი“.<sup>19</sup>

ექიმს, რომელიც ამოწმებს დაკავებულ პირს, უნდა შეეძლოს დაზიანების ძალადობის გზით მიყენების აღბათობის დადგენა, თუნდაც ამის შესახებ პაციენტი არ მიუთითებდეს. მას ასევე უნდა შეეძლოს ძალადობის ფსიქიკური და ფსიქოლოგიური მტკიცებულების დოკუმენტირება და პირის მიერ არასათანადო მოპყრობის შესახებ მონათხრობისა და შემოწმების შედეგების შესაბამისობის ხარისხის დადგენა.<sup>20</sup>

საგულისხმოა, რომ N6 დაწესებულებაში, ისევე როგორც სხვა დანარჩენ პენიტენციურ დაწესებულებებში დაზიანებების დოკუმენტირება არ ხდება „სტამბოლის პროტოკოლით“ დადგენილი სტანდარტების შესაბამისად. აღნიშნული პრობლემა მიმოხილულია და სახალხო

<sup>18</sup> წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის 23-ე ზოგადი მოხსენება, 2013 წ. პარ. 74.

<sup>19</sup> წამებისა და სხვა სასტიკი, არაადამიანური ან ღირსების შემლახავი მოპყრობისა და დასჯის ეფექტური გამოძიებისა და დოკუმენტირების სახელმძღვანელო სტამბოლის პროტოკოლი, (Istanbul protocol) / გაერო, 2004, პარ. 105.

<sup>20</sup> იქვე პარ. 122.

დამცველის მიერ შესაბამისი რეკომენდაციები გაცემულია პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2014 წლის ანგარიშში.<sup>21</sup>

შემოწმების შედეგად აღმოჩნდა, რომ თვითდაზიანებებს უმეტესად იყენებენ ერთი და იგივე პატიმრები. ერთ-ერთმა პატიმარმა 2015 წლის 8 მარტიდან 2 აგვისტომდე 14-ჯერ სცადა თვითმკვლელობა. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პატიმარი სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართეს მხოლოდ 2015 წლის 19 ივნისს, სუიციდის 5 მცდელობის შემდეგ. მითითებული პატიმარს არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის საკითხის გადაწყვეტის მიზნით, ს.ს.ი.პ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ფსიქიატრიული ექსპერტიზის დეპარტამენტში გადაიყვანეს ორჯერ, 2015 წლის 23 მარტს და 18 აგვისტოს, ხოლო არანებაყოფლობითი ფსიქიატრიული მკურნალობის მიზნით, იგი შპს "ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში" მოთავსდა 2015 წლის 22 აგვისტოს.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის მიდგომით, სამედიცინო მომსახურების არასათანადო დონემ შეიძლება სწრაფი ტემპებით მიგვიყვანოს იმ ვითარებამდე, რომელიც უტოლდება „არაადამიანურ და ღირსების შემლახველ“ მოპყრობას. საქმეში „ქინანი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ“ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ იმსჯელა იმ მკურნალობის ხარისხზე, რომელიც უტარდებოდა მომჩივანს პატიმრობაში და დაადგინა, რომ გაწეული სამედიცინო მომსახურება, რომელიც ექიმის მხრიდან ყოველდღიურ ყურადღებას და მედიკამენტების მიღებას, ასევე, პატიმრის ვიზუალურ მეთვალყურეობას გულისხმობდა, არ იყო ადეკვატური და არღვევდა ევროპული კონვენციის მე-3 მუხლს.<sup>22</sup>

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 11 თებერვლის N13 ბრძანებით დამტკიცდა ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა სუიციდის პრევენციის პროგრამა, რომელშიც გაიწერა პროგრამის მიზნები და ამოცანები. მის განხორციელებაზე ზედამხედველად განისაზღვრა პროგრამის საბჭო. სუიციდის რისკის შეფასების, ინდივიდუალური დახმარების გეგმის შემუშავების და აღნიშნული გეგმის განხორციელების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებლად განისაზღვრა დაწესებულებების მულტიდისციპლინური გუნდები. ამავე დოკუმენტით განისაზღვრა პატიმრების პროგრამაში ჩართვის და მულტიდისციპლინური დახმარების შეჩერება/შეწყვეტის პროცედურები.

საყურადღებოა ზემოაღნიშნული ფაქტი, სადაც სუიციდის პრევენციის პროგრამაში ჩართვის შემდეგ პატიმარმა კიდევ ცხრაჯერ სცადა სუიციდი, რაც ეჭვ ქვეშ აყენებს ინტერვენციის ეფექტურობას. მითითებულ შემთხვევაში აშკარაა, რომ აღნიშნულ პატიმარს ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემა ჰქონდა და იგი უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებით. შესაბამისად, საქართველოს სახალხო დამცველს მიაჩნია, რომ პროგრამის ეფექტურად მუშაობის პირობებში, ყველა საჭირო ზომა უნდა იქნეს

<sup>21</sup> იხ. საქართველოს პრევენციის ეროვნული მექანიზმის 2014 წლის ანგარიში, გვ. 21-32 და 42, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3509.pdf> [ბოლოს ნანახია 20.07.2016].

<sup>22</sup> ქინანი დიდი ბრიტანეთის წინააღმდეგ (Keenan v. UK), 2001 წლის 3 აპრილის გადაწყვეტილება, საჩივრის N27229, პარ. 179-186.

მიღებული, რათა მაქსიმალურად მოხდეს პროგრამაში ჩართული პატიმრების სუიციდის მცდელობის რისკის შემცირება. სუიციდის პროგრამის ეფექტურობის შეფასება სპეციალური პრევენციული ჯგუფის მიერ კვლავაც მოხდება N6 დაწესებულების მომდევნო შემოწმების დროს.

#### რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, მათ შორის დაწესებულების თანამშრომელთა სწავლებისა და ზედამხედველობის განხორციელების გზით, რათა მაქსიმალურად შემცირდეს დაწესებულების თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ არასათანადო მოპყრობის რისკი
- ❖ უზრუნველყოს არასათანადო მოპყრობის სავარაუდო მსხვერპლის დაუყოვნებლივ გადაყვანა იმ დაწესებულებიდან, რომელშიც იგი სავარაუდოდ დაექვემდებარა არასათანადო მოპყრობას, ასევე მისი დაცვა ზეწოლისაგან და რეპრესიებისაგან
- ❖ უზრუნველყოს პატიმრების მიერ თვითდაზიანებისა და სუიციდის მცდელობების მიზეზების შესწავლა და გადაიდგას შესაბამისი პრევენციული ნაბიჯები, მათ შორის სუიციდის პრევენციის პროგრამის ფარგლებში, თვითდაზიანებისა და სუიციდის მცდელობის ფაქტების თავიდან ასაცილებლად
- ❖ „სტამბოლის პროტოკოლის“ შესაბამისად, შემუშავდეს და დაინერგოს დაზიანებების აღრიცხვის ახალი ფორმა, რომელშიც შესაძლებელი გახდება სხეულის დაზიანების შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციის შეტანა
- ❖ დაწესებულების სამედიცინო პერსონალს ჩაუტარდეს არასათანადო მოპყრობის ფაქტების იდენტიფიცირებისა და დოკუმენტირების შესახებ ინტენსიური სწავლება

### 3. უსაფრთხოება

უსაფრთხოება მოიცავს პატიმართა შორის ძალადობის, ხანძრის და სხვა საგანგებო სიტუაციების პრევენციას, პატიმართა და დაწესებულებაში მომუშავე პერსონალისთვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფას, ასევე სუიციდისა და თვითდაზიანების პრევენციას.

ვიზიტის მიმდინარეობისას განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო დაწესებულებაში უსაფრთხოების კუთხით არსებულ მდგომარეობას და დაწესებულების უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის სპეციფიკის შესწავლას.

პატიმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

„დასაბუთებული ვარაუდის არსებობისას ადმინისტრაციას უფლება აქვს, ბრალდებულის/მსჯავრდებულის ან სხვა პირთა უსაფრთხოებისა და სხვა კანონიერი ინტერესებიდან გამომდინარე – თვითმკვლელობის, თვითდაზიანების, მის ან სხვა პირთა მიმართ ძალადობის, ქონების დაზიანების, აგრეთვე სხვა დანაშაულისა თუ სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად განახორციელოს ვიზუალური ან/და ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი. ელექტრონული მეთვალყურეობა ხორციელდება აუდიო-ვიდეო საშუალებებით ან/და კონტროლის სხვა ტექნიკური

საშუალებებით. ადმინისტრაცია უფლებამოსილია განახორციელოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის, კონტროლის და ამ პროცესის შედეგად მიღებული ინფორმაციის ჩაწერა. ამავე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ სხვა საშუალებების გამოყენება არაეფექტიანია. მიღებული გადაწყვეტილება დასაბუთებული და მიზნის პროპორციული უნდა იყოს. ამავე მუხლის მე-8 ნაწილის თანახმად, ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული გარემოების აღმოფხვრისთანავე ადმინისტრაცია წყვეტს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობას. დაუშვებელია ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის ბრალდებულის/ მსჯავრდებულის დასჯის მიზნით განხორციელება.“

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის თაობაზე მიღებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობას და მიუთითებს, რომ სათანადო დასაბუთების გარეშე აღნიშნული ღონისძიების გამოყენება შეიძლება ჩაითვალოს პატიმრის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების დარღვევად.<sup>23</sup>

„ევროპული ციხის წესების“ 50.1 მუხლის თანახმად, „ინდივიდუალური პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობისთვის.“ 50.4 მუხლის თანახმად, „ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმგვარი უშიშროების პირობებში, რომელიც შეესაბამება სათანადო რისკის დონეს.“ 50.5 მუხლის თანახმად, „საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში.“

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის N35 ბრძანებით დამტკიცებული ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის მე-4 მუხლის მიხედვით, მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს დაწესებულების დირექტორი, რის თაობაზეც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. მართალია, მე-3 მუხლში მითითებულია, რომ მიღებული გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიზნის პროპორციული, თუმცა ვალდებულება იმისა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში აუცილებელია ბრძანებაში მიეთითოს იმ ფაქტებისა და გარემოებების ერთობლიობა, რომლებმაც განაპირობა აღნიშნული ღონისძიების განხორციელების აუცილებლობა, განსაზღვრული არ არის. გარდა ამისა, სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს მიაჩნია, რომ ბრძანებაში დასაბუთებული უნდა იყოს, თუ რატომ არ არის ეფექტური სხვა საშუალებების გამოყენება მოცემულ შემთხვევაში. ყველა ინდივიდუალურ საქმეში რისკი უნდა შეფასდეს დეტალურად და მიღებულ ბრძანებაში ნათლად უნდა ჩანდეს ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების უალტერნატივობა. აღნიშნული

<sup>23</sup> წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), კომიტეტის ვიზიტი უკრაინაში 1-10 დეკემბერი 2012 წელი, პარაგრაფი 52, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/ukr/2013-23-inf-eng.htm> [ბოლოს ნანახია 07.07.2016].



მნიშვნელოვანია იმდენად, რამდენადაც მონიტორინგის შედეგები ცხადყოფს, რომ დამკვიდრებული პრაქტიკით ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანება შეიცავს მწირ ინფორმაციას და შაბლონური ხასიათისაა.

2015 წლის 15 სექტემბერს, N6 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტის დროს, ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილი იყო სამედიცინო პუნქტის 4 საკანი, 4 სამარტოო საკანი, 15 უსაფრთხო ოთახი და 32 ჩვეულებრივი საკანი. აღნიშნულ საკნებში ვიზუალური მეთვალყურეობის ქვეშ 2015 წლის განმავლობაში მოთავსებული იყო 86 პაციმარი.

შემოწმების შედეგად ირკვევა, რომ მეთვალყურეობის დაწესების შესახებ დაწესებულების დირექტორის ბრძანებები არ შეიცავს დასაბუთებას, თუ რა გარემოებების გამო გახდა აუცილებელი ასეთი ზომის გამოყენება. აღსანიშნავია, რომ ზოგიერთ შემთხვევაში მეთვალყურეობის დაწესება ხდება ისეთი საფუძვლით, რაც პაციმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული არ არის, ასე მაგალითად, აღნიშნული ნაწილი არ ითვალისწინებს მეთვალყურეობის დაწესებას შემდგომი პროფილაქტიკის მიზნით, შესაბამისად, ასეთი მეთვალყურეობა არ ემსახურება პაციმრობის კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილით დადგენილ ლეგიტიმურ მიზანს და ამრიგად, უკანონოა. მართალია, პაციმრობის კოდექსის ზემოთ აღნიშნული დებულება ითვალისწინებს დასაბუთებული ვარაუდის არსებობის შემთხვევაში, „სხვა დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის თავიდან ასაცილებლად“ მეთვალყურეობის დაწესების უფლებამოსილებას, მაგრამ მითითება „შინაგანაწესის დაცვის უზრუნველყოფის მიზნის“ შესახებ, სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, ფართო ინტერპრეტაციისა და შესაბამისად თვითნებობის შესაძლებლობას იძლევა, ვინაიდან ამ შემთხვევაში არ ჩანს, კონკრეტულად შინაგანაწესის რა მოთხოვნის დაცვის უზრუნველსაყოფად გამოიყენება მეთვალყურეობა, ასევე ქმედების ხასიათი და ის ფაქტი, თუ რატომ არის შინაგანაწესის დაცვის უზრუნველსაყოფად მეთვალყურეობა უალტერნატივო ზომა და ეს მაშინ, როცა არსებობს სხვა საშუალებები, მათ შორის, დისციპლინური პასუხისმგებლობის პროცედურა, იმავე მიზნის მისაღწევად.

ამასთან, როგორც მასალების შესწავლის შედეგად გაირკვა, დირექტორის მიერ ელექტრონული მეთვალყურეობის გაგრძელების შესახებ ბრძანების გამოცემა ატარებს მხოლოდ ფორმალურ ხასიათს და არ წარმოადგენს დაწესებული მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების პერიოდულად გადასინჯვის შედეგად მიღებულ გადაწყვეტილებას. კერძოდ, ასეთი ბრძანებები გამოიცემა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პაციმარი გადაყავთ ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემით აღჭურვილი ერთი საკნიდან მეორეში.

გარდა ზემოაღნიშნულისა, სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებმა 2015 წლის 15 სექტემბრის ვიზიტის დროს N6 დაწესებულების მთავარი ექიმისგან მიიღეს ინფორმაცია, რომ დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტის ყველა პალატაში<sup>24</sup> იგეგმება ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემის დამონტაჟება. სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს მიაჩნია, რომ ყველა პალატის ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემით აღჭურვა გამოიწვევს იმას, რომ საექიმო-

<sup>24</sup> საექიმო-სამედიცინო პუნქტში არის სულ 9 საკანი.

სამედიცინო პუნქტში მოთავსებულ ყველა პაციმარზე განხორციელდება ვიზუალური მეთვალყურეობა, მიუხედავად იმ გარემოებისა, არსებობს თუ არა მითითებული ღონისძიების განხორციელების საფუძველი. შესაბამისად, საექიმო-სამედიცინო პუნქტში იმ პაციმრების მოთავსების შემთხვევაში, რომელთა მიმართ არ არსებობს ვიზუალური მეთვალყურეობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი, მოხდება ამ პაციმრების პირადი ცხოვრების უფლებაში გაუმართლებელი ჩარევა.

ამდენად, სპეციალური პრევენციული ჯგუფი მოუწოდებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, საექიმო-სამედიცინო პუნქტის ყველა პალატა არ აღიჭურვოს ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემით, რათა უზრუნველყოფილი იყოს პირადი ცხოვრების უფლების დაცვის პირობებში, საექიმო-სამედიცინო პუნქტში ისეთი პაციმრების მოთავსება, რომელთა მიმართ არ არსებობს ვიზუალური მეთვალყურეობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველი.

პაციმრობის კოდექსის 57-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად,

„ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიერ სისტემის ორგანოს მოსამსახურის კანონიერი მოთხოვნისადმი დაუმორჩილებლობის, თავდასხმის მოგერიების, ჯგუფური დაუმორჩილებლობის ან/და მასობრივი არეულობის აღკვეთის მიზნით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გატარდეს შემდეგი უსაფრთხოების ღონისძიებები: ა) სპეციალური საშუალებების გამოყენება; ბ) სხვა ბრალდებულთაგან/მსჯავრდებულთაგან მისი განცალკევება; გ) დროებით სხვა პაციმრობის/თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანა; დ) არაუმეტეს 24 საათით სამართლო საკანში მოთავსება.“

ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, „უსაფრთხოების ღონისძიების განხორციელება წყდება დაუყოვნებლივ, იმ საფრთხის აღმოფხვრისთანავე, რომლის აღსაკვეთადაც ეს ღონისძიება გამოიყენებოდა.“ ამავე მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, „დაუშვებელია უსაფრთხოების ღონისძიების ბრალდებულის/მსჯავრდებულის დასჯის მიზნით გამოყენება.“

N6 დაწესებულებაში პაციმრების განცალკევების საფუძველი და პროცედურები უფრო კონკრეტულად რეგულირდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N108 ბრძანებით დამტკიცებული N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების 26-ე მუხლით, კერძოდ, პაციმრის მიერ საკუთარი თავის, გარშემომყოფთა და ქონების დაზიანების თავიდან აცილების, დაწესებულებაში დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევის აღკვეთის მიზნით, შესაძლებელია პაციმრის სხვა პაციმრისგან განცალკევების მიზნით მისი სხვა საკანში ან უსაფრთხო ოთახში მოთავსება არაუმეტეს 30 დღისა. მსჯავრდებულის სხვა მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით მოთავსების თაობაზე დაწესებულების დირექტორი გამოსცემს შესაბამის ბრძანებას. აუცილებლობის შემთხვევაში, პაციმრის განცალკევებით მოთავსების ხანგრძლივობა დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება გაიზარდოს გონივრული ვადით, იმ საფრთხის აღმოფხვრამდე, რომლის საფუძველზეც მოხდა



ბრალდებულის/მსჯავრდებულის განცალკევება. თუ უსაფრთხოების ღონისძიებებმა შესაბამისი შედეგები არ გამოიღო, დაწესებულების დირექტორი დეპარტამენტის დირექტორის წინაშე შუამდგომლობს განცალკევებული პატიმრის ან მისი უსაფრთხოებისათვის საშიში პირების თავისუფლების აღკვეთის აღსრულების სხვა დაწესებულებაში დადგენილი წესით გადაყვანის თაობაზე.

როგორც ვიზიტის დროს შესაბამისი მასალების შესწავლით გაირკვა, N6 დაწესებულებაში პატიმრების განცალკევების შესახებ დირექტორი ბრძანებას ცალკე არ გამოსცემს და პატიმრის ფაქტობრივი განცალკევება ხდება მის მიმართ ვიზუალური მეთვალყურეობის დაწესების შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით, სხვა საკანში გადაყვანის გზით.

აღსანიშნავია, რომ პატიმრის განცალკევება და მეთვალყურეობის განხორციელება განიხილება უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ სხვადასხვა ღონისძიებად. მართალია, შეიძლება რიგ შემთხვევებში შესაძლოა საჭირო იყოს ორივე ღონისძიების ერთდროულად გამოყენება, მაგრამ აღნიშნული არ ნიშნავს იმას, რომ ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელების შემთხვევაში ავტომატურად უნდა მოხდეს პატიმრის განცალკევება და პირიქით. ორივე ღონისძიების გამოყენება უნდა დასაბუთდეს ცალ-ცალკე ისევე, როგორც ამ ღონისძიებების გაგრძელების საჭიროება.

მონიტორინგის შედეგების მიხედვით, N6 დაწესებულებაში პატიმრების განცალკევება არ ხდება საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N108 ბრძანებით დამტკიცებული N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების 26-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურებით და შესაბამის საფუძვლებზე მითითებით. შესაბამისად, განცალკევებული პატიმრები არ არიან უზრუნველყოფილი იმ სამართლებრივი დაცვის გარანტიებით, რომელიც გამორიცხავს ხანგრძლივი ან უსაფუძვლო იზოლირებით, მათი უფლებების დარღვევას.

მსჯავრდებულის მიმართ უსაფრთხოების მიზნით გატარებულ ღონისძიებებთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართალი მნიშვნელოვან სამართლებრივ გარანტიებს ადგენს, კერძოდ, „ევროპული ციხის წესების“ 50.1-ე მუხლის თანახმად, „ინდივიდუალური პატიმრების მიმართ გამოყენებული უშიშროების ზომები უნდა იყოს მინიმალური, რაც კი საჭიროა მათი უსაფრთხო პატიმრობისთვის.“ 50.4-ე მუხლის თანახმად, „ყოველი პატიმარი უნდა იმყოფებოდეს იმგვარი უშიშროების პირობებში, რომელიც შეესაბამება სათანადო რისკის დონეს.“ 50.5-ე მუხლის თანახმად, „საჭირო უშიშროების დონე უნდა გადაისინჯოს რეგულარული ინტერვალებით პირის პატიმრობის მთელი ვადის განმავლობაში.“ საქმეში „რამირეზ სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ“<sup>25</sup> ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ განმარტა, რომ მსჯავრდებულის იზოლაცია არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს განუსაზღვრელი ვადით.

როგორც N6 დაწესებულებაში ვიზიტის დროს გაირკვა, განცალკევებით მოთავსება ზოგ შემთხვევებში ხდება წლების განმავლობაში, ასე მაგალითად, მსჯავრდებული ზ.თ. სხვა

<sup>25</sup> რამირეზ სანჩესი საფრანგეთის წინააღმდეგ (RAMIREZ SANCHEZ v. FRANCE), 04.06.2006, 59450/00, პარ.145.

პატიმრებისგან იზოლირებულია 2013 წლის 15 სექტემბრიდან, მსჯავრდებული გ.ბ. – 2014 წლის 5 მარტიდან, ასევე სხვა 4 მსჯავრდებული სხვა პატიმრებისგან იზოლირებული არიან 2013 წლის 28 ნოემბრიდან.

იმ პირობებში, როდესაც დაწესებულებაში არ არის სათანადო სარეაბილიტაციო და ფსიქოლოგიური სერვისები და დღე-ღამის განმავლობაში პატიმრები საკანში ატარებენ 23 საათს, სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, აღნიშნული ვადით პატიმრების იზოლირება და განსაკუთრებით, უსაფრთხო საკანებში ხანგრძლივი დროით მოთავსება, შესაძლოა გაუტოლდეს სასტიკ, არაადამიანურ და ღირსების შემლახავ მოპყრობას და ზრდის ამ პატიმრების მხრიდან საკუთარი თავისთვის ან სხვა პირებისთვის საფრთხის შექმნის რისკს.<sup>26</sup>

აღსანიშნავია, რომ N6 დაწესებულების დებულებით პატიმრის განცალკევების მაქსიმალური ვადა განსაზღვრული არ არის. შესაბამისად, დირექტორმა ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა შეაფასოს, ამოიწურა თუ ისევ არსებობს პატიმრის განცალკევებით ყოფნის დებულებით განსაზღვრული კრიტერიუმები. სპეციალურ პრევენციული ჯგუფს მიაჩნია, რომ შესაბამისი ცვლილებები უნდა შევიდეს N6 დაწესებულების დებულებაში და განისაზღვროს განცალკევებით მოთავსების მაქსიმალური ვადა, რაც მნიშვნელოვანი გარანტია იქნება არაადამიანური და დამამცირებელი მოპყრობის თავიდან აცილების თვალსაზრისით. ასევე აღსანიშნავია, რომ ცალკე უნდა განისაზღვროს უსაფრთხო საკანში (ე.წ. ანტივანდალურ საკანში) მოთავსების მაქსიმალური ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს.<sup>27</sup> ამჟამად N6 დაწესებულების დებულებით უსაფრთხო საკანში მოთავსების ვადა განსაზღვრული არ არის.

აღსანიშნავია, რომ უსაფრთხო ოთახებში არსებული გარემო არ გამორიცხავს იქ მყოფი პირის მიერ თვითდაზიანების მიყენების შესაძლებლობას. ამასთან, საგულისხმოა, რომ უსაფრთხო ოთახებში მყოფ პატიმრებს შეზღუდული აქვთ გასეირნების უფლება, არ იღებთ ოთახების ფანჯარა, ტუალეტი არ არის იზოლირებული, რომელიც მოქცეულია ვედრო-კამერის ხედვის არეალში და ირღვევა მათი პრივატულობა. შესაბამისად, უსაფრთხო ოთახებში პატიმრების მოთავსებისას განსაკუთრებით მძიმდება მათი მდგომარეობა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების შეფასებით, უსაფრთხო ოთახში მოთავსებით N6 დაწესებულებაში ხდება მხოლოდ პატიმრების იზოლირება და მათთვის არ ხდება სათანადო ფსიქოლოგიური და სოციალური სერვისის მიწოდება იმ მიზეზების აღმოსაფხვრელად, რის გამოც მოხდა მათი გადაყვანა აღნიშნულ ოთახში.

---

<sup>26</sup> გაეროს სპეციალური მომხსენებელი წამების საკითხებში 2015 წელს საქართველოში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში (პარ. 85) აღნიშნავს: „სპეციალური მომხსენებელი ინფორმირებულ იქნა იმასთან დაკავშირებით, რომ პრაქტიკაში პატიმრებმა შესაძლებელია რამდენიმე თვე გაატარონ იზოლირების პირობებში და მიიჩნევენ, რომ აღნიშნული შეიძლება წარმოადგენდეს სასტიკ, არაადამიანურ ან ღირსების შემლახავი მოპყრობას და წამებასაც კი გაუტოლდეს. ანგარიში ინგლისურ ენაზე ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: <https://documents-dds-ny.un.org/doc/UNDOC/GEN/G15/273/24/PDF/G1527324.pdf?OpenElement> [ბოლოს ნანახია: 07.07.2016].

<sup>27</sup> იხილეთ წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის (CPT) ანგარიში 2014 წელს საქართველოში ვიზიტის შესახებ CPT/Inf (2015) პარ. 94.

N6 დაწესებულებაში არის 15 უსაფრთხო ოთახი, სადაც მიმდინარეობს მუდმივი ვიზუალური მეთვალყურეობა. აღსანიშნავია, რომ 2015 წლის 15 სექტემბერს განხორციელებული ვიზიტის დროს აღნიშნულ ოთახებში პატიმრები განთავსებული არ იყვნენ.

პატიმრობის კოდექსის 57<sup>1</sup> მუხლის მიხედვით, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმართ შეიძლება გამოყენებულ იქნეს შემდეგი სპეციალური საშუალებები: ხელბორკილი, დამაწყნარებელი პერანგი, დამაწყნარებელი სკამი, დამაწყნარებელი საწოლი, რეზინის ხელკეტი, ცრემლსადენი გაზი, წიწაკის გაზი, არალეტალური იარაღი, აკუსტიკური საშუალება, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, წყალსატყორცნი, სასამსახურო ძალდი. ვიზიტის დროს გაირკვა, რომ N6 დაწესებულებაში 2015 წლის განმავლობაში, დეესკალაციის მიზნით ხელბორკილი გამოყენებულ იქნა 22 შემთხვევაში.

დამატებით, საგულისხმოა, რომ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N108 ბრძანებით დამტკიცებული N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების მე-19 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „დღის განმავლობაში, დღის განრიგის შესაბამისად მსჯავრდებულის საკნიდან გამოყვანა და დაწესებულებაში გადაადგილება დანიშნულების ადგილზე მიყვანამდე, დასაშვებია მხოლოდ ხელბორკილის გამოყენებით.“

აღნიშნული ნორმით დადგენილი წესიდან გამომდინარე, ყველა მსჯავრდებულს, რომელიც სასჯელს იხდის N6 დაწესებულებაში და განსაზღვრული აქვთ საშიშროების მაღალი რისკი, ნებიესმიერ შემთხვევაში უნდა დაედოთ ხელბორკილი, როდესაც ისინი საკნიდან გამოჰყავთ. მართალია, მინისტრის შესაბამისი კანონქვემდებარე ნორმატიული აქტით<sup>28</sup> დადგენილია, რომ საშიშროების მაღალი რისკის მქონე არის მსჯავრდებული, რომლისგან მომდინარე საფრთხე დაწესებულებისთვის ან გარშემომყოფთათვის, აგრეთვე საზოგადოებისათვის, სახელმწიფოსა ან/და სამართალდამცველი ორგანოებისათვის, სხვადასხვა კრიტერიუმების გათვალისწინებით, არის მაღალი, თუმცა პატიმრობის კოდექსის 57<sup>1</sup>-ე მუხლის თანახმად, ხელბორკილის, როგორც სპეციალური საშუალების გამოყენება უნდა იყოს უკიდურესი ზომა და უნდა არსებობდეს მისი გამოყენების სამართლებრივი საფუძველი<sup>29</sup>.

არსებული პრაქტიკით, N6 დაწესებულებაში მყოფი მაღალი რისკის მსჯავრდებულების მიმართ რუტინულად ხდება ხელბორკილის გამოყენება, მათი საკნიდან გამოყვანის ყველა შემთხვევაში, მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ მათ განსაზღვრული აქვთ საშიშროების მაღალი რისკი, და

---

<sup>28</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 9 ივლისის N70 ბრძანებით დამტკიცებული მსჯავრდებულის რისკის სახეების, რისკის შეფასების კრიტერიუმების, რისკის შეფასებისა და გადაფასების, მსჯავრდებულის იმავე ან სხვა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში გადაყვანის, გადაყვანის პირობების, აგრეთვე რისკების შეფასების გუნდის საქმიანობისა და უფლებამოსილების განსაზღვრის წესის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი.

<sup>29</sup> პატიმრობის კოდექსის 57<sup>1</sup>-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ხელბორკილის გამოყენება შეიძლება იმ პირის მიმართ, რომელიც თავისი ქმედებით წინააღმდეგობას უწევს სპეციალური პენიტენციური სამსახურის მოსამსახურეს ან/და არ ემორჩილება მის კანონიერ მოთხოვნას; რომელიც საფრთხეს უქმნის საკუთარ ან/და სხვის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას; რომელიც აზიანებს ან ცდილობს დააზიანოს სხვისი/სახელმწიფო ქონება; რომელიც ცდილობს გაქცევას; აგრეთვე თუ არსებობს ამ გარემოებების დადგომის გონივრული ეჭვი.

ინდივიდუალურად არ ფასდება, რამდენად არსებობს ხელბორკილის გამოყენების რეალური საჭიროება. ასეთ შემთხვევაში არ ხდება ხელბორკილის გამოყენების პროპორციულობის და უკიდურესობის დასაბუთება.

სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს მიაჩნია, რომ მაღალი რისკის მქონე მსჯავრდებულების მიმართ არ უნდა ხდებოდეს ხელბორკილის რუტინულად გამოყენება და ყველა შემთხვევაში ინდივიდუალურად უნდა შეფასდეს მისი გამოყენების საჭიროება და უკიდურესობა.<sup>30</sup>

გარდა ზემოაღნიშნული საკითხებისა, N6 დაწესებულებაში სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს აშკარა იყო ადმინისტრაციისა და პატიმრებს შორის დაძაბული, კონფლიქტური ურთიერთობა. სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრისას ადმინისტრაციის წარმომადგენლები ავლენდნენ პატიმრების მიმართ აგრესიულ დამოკიდებულებას, რაც სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, დაუშვებელია და წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისა და პატიმართა ადამიანის უფლებების დარღვევის არსებით რისკ ფაქტორს.

უსაფრთხოების უზრუნველყოფის მისაღწევად ერთ-ერთ ყველაზე კარგ საშუალებას „დინამიკური უსაფრთხოების“ კონცეფციის პრაქტიკაში განხორციელება წარმოადგენს. დინამიკური უსაფრთხოების კონცეფცია ითვალისწინებს დაწესებულების პერსონალსა და პატიმართა შორის პოზიტიური ურთიერთობის უზრუნველყოფას სამართლიანი მოპყრობის პირობებში, ასევე რესოციალიზაციისა და საზოგადოებაში სამომავლო ინტეგრაციისკენ მიმართული აქტივობების არსებობას. პენიტენციური დაწესებულების პერსონალს გააზრებული უნდა ჰქონდეს, რომ პატიმრებთან ჰუმანური და სამართლიანი მოპყრობა ხელს უწყობს დაწესებულებაში მართლწესრიგისა და უსაფრთხოების შენარჩუნებას.<sup>31</sup>

პატიმართა კონტროლი ასევე მოიცავს სტატიკური უსაფრთხოების ელემენტებს, როგორცაა უსაფრთხოების სათანადო ინფრასტრუქტურა და აღჭურვილობა, ასევე ინციდენტების მართვა და საჭიროების შემთხვევაში ძალის გამოყენება.<sup>32</sup> თუმცა, მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ გაეროს სამართალდამცავ ორგანოთა ქცევის კოდექსის მიხედვით, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლებს ძალის გამოყენება შეუძლიათ მხოლოდ უკიდურესი აუცილებლობის შემთხვევაში და იმ ზომით, რაც აუცილებელია მათი მოვალეობის შესასრულებლად.<sup>33</sup>

---

<sup>30</sup> წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი 2013 წელს ლატვიაში განხორციელებული ვიზიტის შესახებ ანგარიშში (პარ. 35) აღნიშნავს, რომ როგორც წესი, როგორც უვადო პატიმრების, ასევე ნებისმიერი სხვა პატიმრის მიმართ არ უნდა მოხდეს ხელბორკილის გამოყენება დაწესებულების ტერიტორიაზე გადაადგილებისას. ასეთი პრაქტიკა შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში; ის დაფუძნებული უნდა იყოს რეალური რისკების ინდივიდუალურ და ყოველმხრივ შეფასებაზე, რომელიც უნდა გადაისინჯოს რეგულარულად სათანადო სიხშირით. (ანგარიში ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.cpt.coe.int/documents/lva/2014-05-inf-eng.htm>) [ბოლოს ნანახია: 07.07.2016]

<sup>31</sup> United Nations, Prison Incident Management Handbook, 2013, p. 21-22. ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <[http://www.un.org/en/peacekeeping/publications/cljas/handbook\\_pim.pdf](http://www.un.org/en/peacekeeping/publications/cljas/handbook_pim.pdf)>

<sup>32</sup> იქვე, გვ. 13

<sup>33</sup> UN General Assembly, Code of conduct for law enforcement officials, 5 February 1980, A/RES/34/169, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://www.refworld.org/docid/48abd572e.html>

შემოწმების შედეგად სპეციალური პრევენციული ჯგუფი მივიდა დასკვნამდე, რომ N6 დაწესებულების ადმინისტრაცია ძირითადად ეყრდნობა ე.წ. „სტატიკური უსაფრთხოების“ ელემენტებს (განცალკევება, ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა), რაც ვერ უზრუნველყოფს დაწესებულებაში, ადამიანის უფლებების დაცვის პირობებში, უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვის მიზნის მიღწევას. შედეგად, იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომ პატიმრები დღე-ღამეში 23 საათს საკანში ატარებენ, დაწესებულებაში არ არსებობს სათანადო დეესკალაციის სტრატეგია, სარეაბილიტაციო და ფსიქოლოგიური სერვისები, დაწესებულებაში რჩება თვითდაზიანების, ძალადობისა და აგრესიის გამოვლენის მაღალი რისკი. ხოლო თანამშრომლების მხრიდან პატიმრების მიმართ აგრესიული დამოკიდებულება, მათ მიმართ არასათანადო მოპყრობის რეალურ საფრთხეს ქმნის.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

- ❖ მიიღოს ყველა გონივრული ზომა, რათა ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობა განხორციელდეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა ზომები არაეფექტურია და იმ ხანგრძლივობით, რაც მკაცრად აუცილებელია კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით, ამასთან, უზრუნველყოფილი იყოს ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობის შესახებ გადაწყვეტილების სათანადო დასაბუთება
- ❖ პატიმრის განცალკევების და ელექტრონული მეთვალყურეობის განხორციელების საჭიროების დასაბუთება მოხდეს ცალ-ცალკე და მხოლოდ ერთი ღონისძიების გამოყენების საფუძვლების არსებობისას არ მოხდეს მეორეს გამოყენება ავტომატურად
- ❖ ზედამხედველობისა და კონტროლის განხორციელების გზით უზრუნველყოს, რომ პატიმრების ნების საწინააღმდეგოდ, მათი იზოლირება განხორციელდეს მხოლოდ უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, მხოლოდ პენიტენციური დაწესებულებების დებულებებით გათვალისწინებული საფუძვლით და პროცედურების დაცვით
- ❖ შევიდეს შესაბამისი ცვლილება N6 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში და განისაზღვროს უსაფრთხო საკანში მოთავსების მაქსიმალური ვადა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 24 საათს
- ❖ N6 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში შევიდეს ცვლილება და განისაზღვროს პატიმრების ნების საწინააღმდეგოდ განცალკევების მაქსიმალური ვადა და პატიმრების განცალკევებით მოთავსების შესახებ გადაწყვეტილების გადასინჯვა მოხდეს სავალდებულო წესით, ამ ღონისძიების გამოყენებიდან 14 დღის შემდეგ და შემდგომში, ამავე დროის ინტერვალით
- ❖ შევიდეს შესაბამისი ცვლილება N6 პენიტენციური დაწესებულების დებულებაში, რომელიც უზრუნველყოფს, რომ მაღალი რისკის მსჯავრდებულების მიმართ ხელბორკილის გამოყენება არ მოხდეს რუტინულად და ინდივიდუალურად მოხდეს მისი გამოყენების საჭიროებისა და უკიდურესობის შეფასება
- ❖ შეისწავლოს N6 დაწესებულების უსაფრთხოების განყოფილების მუშაობის პრაქტიკა



და მიიღოს ყველა შესაბამისი ზომა დაწესებულებაში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, მათ შორის, დაწესებულების თანამშრომელთა სათანადო სწავლებისა და ძალადობის რისკ ფაქტორების იდენტიფიცირების შესაძლებლობის გაძლიერების გზით

- ❖ მიიღოს შესაბამისი ზომები დინამიკური უსაფრთხოების პრაქტიკაში განხორციელების უზრუნველსაყოფად
- ❖ უზრუნველყოს სასჯელადსრულების N6 დაწესებულების თანამშრომლების გრძელვადიანი პროფესიული სწავლება, ამასთან, უზრუნველყოს უფლებამოსილებათა ფარგლების, არასათანადო მოპყრობის, უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების, გადამეტების ან სამსახურებრივი გულგრილობისთვის მოსალოდნელი სასჯელის, ასევე სამსახურებრივი უფლებამოსილებების არაჯეროვნად შესრულების შემთხვევაში მოსალოდნელი პასუხისმგებლობის შესახებ მათი სათანადო ინფორმირება

## 4. პატიმრობის პირობები

### 4.1. ფიზიკური გარემო, სანიტარიულ-ჰიგიენური მდგომარეობა

ევროპული ციხის წესების თანახმად, პატიმრებისათვის უზრუნველყოფილი საცხოვრებელი, განსაკუთრებით კი, საძინებელი, უნდა პასუხობდეს ადამიანის ღირსების პატივისცემას და მაქსიმალური შესაძლებლობის ფარგლებში, ასევე განმარტობის მოთხოვნებს. ამასთან, დაცული უნდა იყოს ჯანმრთელობისა და ჰიგიენის მოთხოვნები, ჯეროვანი ყურადღება უნდა დაეთმოს კლიმატურ პირობებსა და განსაკუთრებით ფართის ოდენობის, ჰაერის მოცულობას, განათებასა და ვენტილაციის პირობებს<sup>34</sup> „ყველა შენობაში, სადაც პატიმრები ცხოვრობენ, მუშაობენ ან იკრიბებიან: ფანჯრები უნდა იყოს საკმარისად დიდი, რათა საშუალება მიეცეთ პატიმრებს, იკითხონ ან იმუშაონ ბუნებრივი განათების ნორმალურ პირობებში, ასევე იძლეოდეს სუფთა ჰაერის მოძრაობის შესაძლებლობას, გარდა იმ შემთხვევისა, როცა არსებობს ჰაერის კონდიცირების ჯეროვანი სისტემა; ხელოვნური განათება უნდა აკმაყოფილებდეს მიღებულ ტექნიკურ სტანდარტებს; უნდა არსებობდეს სიგნალიზაციის სისტემა, რომელიც საშუალებას მისცემს პატიმრებს, დაუყოვნებლივ დაუკავშირდნენ პერსონალს<sup>35</sup>. ციხის ევროპული წესების ერთ-ერთი ძირითადი პრინციპის მიხედვით, ადამიანის უფლებების შემლახავი ციხის პირობების არსებობა არ შეიძლება გამართლებულ იქნეს რესურსების ნაკლებობით<sup>36</sup>.

დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ დაწესებულებაში 2014 წლიდან დაიწყო კაპიტალური სარემონტო სამუშაოები. 2015 წელს დაწესებულების პირველ და მეორე სარეჟიმო კორპუსებში ჩატარდა სარემონტო სამუშაოები, 11 სამარტოო საკანსა და 15 უსაფრთხო ოთახში დამონტაჟდა

<sup>34</sup> 18.1 წესი.

<sup>35</sup> 18.2 წესი.

<sup>36</sup> წესი 4.

ხელოვნური ვენტილაციის სისტემები, სასადილო-სამზარეულოს შენობა გარემონტდა კაპიტალურად და სასეირნო ეზოები გადაიხურა მავთულბადით.

დაწესებულებაში არის 2 საცხოვრებელი კორპუსი. პირველ კორპუსში განთავსებულია 152, ხოლო მეორე საცხოვრებელ კორპუსში 90 საკანი. ვიზიტის დროს,<sup>37</sup> დაწესებულებაში არსებულ საკნებში ძირითადად განთავსებული იყო თითო ან ორ-ორი პატიმარი. სამ საკანში იყო 3-3 პატიმარი და მხოლოდ ერთ საკანში 4 პატიმარი. დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფის მიერ შემოწმებულ საცხოვრებელ საკნებში არსებული ფართი<sup>38</sup> სრულად შეესაბამება საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად დადგენილ მოთხოვნას<sup>39</sup>, რაც მისასაღმებელია.

დაწესებულებაში ფუნქციონირებს 29 სასეირნო ეზო. ყველა ეზო აღჭურვილია ელექტრონული მეთვალყურეობის სისტემით. ეზოები ნაწილობრივ ისეა გადახურული, რომ პატიმარმა შეძლოს წვიმიან ამინდში გასეირნება. ეზოების ფართობი მერყეობს 30 მ<sup>2</sup>-დან 53 მ<sup>2</sup>-მდე. სასეირნო ეზოებში არის თითო გრძელი სკამი. ეზოებში არ არის რაიმე სახის სავარჯიშო ინვენტარი და ნაგვის ურნები.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 19 მაისის ბრძანებით დამტკიცებული პენიტენციურ დაწესებულებებში ვიზუალური ან/და ელექტრონული საშუალებით მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების, ჩანაწერების შენახვის, წაშლისა და განადგურების წესის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, „ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ელექტრონული მეთვალყურეობა და კონტროლი არ შეიძლება განხორციელდეს დაწესებულებაში არსებულ საერთო სარგებლობის საშხაპებში, საერთო სარგებლობის საპირფარეოებში და ხანგრძლივი პაემნებისათვის განკუთვნილ ოთახებში, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს კანონით გათვალისწინებული შემთხვევისა.“ აღნიშნულ დათქმასთან დაკავშირებით, საქართველოს სახალხო დამცველმა ჯერ კიდევ 2014 წლის 19 დეკემბერს წინადადებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, რომ იმ ადგილების ჩამონათვალს, სადაც არ შეიძლება განხორციელდეს მეთვალყურეობა, დამატებოდა საკანში არსებული საპირფარეოები, თუმცა, მითითებული წინადადება მინისტრმა არ გაიზიარა. წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი (CPT) სხვადასხვა ქვეყანაში განხორციელებული ვიზიტების შედეგების შესახებ ანგარიშებში ცალსახად აღნიშნავს, რომ ციხეებში მეთვალყურეობისა და კონტროლის განხორციელების პროცესში პატიმრების პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება დაცული

<sup>37</sup> 2015 წლის 15 სექტემბერი.

<sup>38</sup> 2015 წლის 15 სექტემბერს განხორციელებული ვიზიტის დროს საკნებში, სადაც თითო-თითო პატიმარი იყო განთავსებული, საკნის ფართობი შეადგენდა 16.34მ<sup>2</sup> -დან 19.97მ<sup>2</sup>-მდე; 2 კაცთან საკნებში 20მ<sup>2</sup>-დან 39.17მ<sup>2</sup>-მდე ფართობს. რაც შეეხება ერთადერთ საკანს, სადაც 4 პატიმარი იყო მოთავსებული, მისი ფართობი შეადგენდა 19.07მ<sup>2</sup>.

<sup>39</sup> საქართველოს პატიმრობის კოდექსის მე-15 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, „ერთ მსჯავრდებულზე საცხოვრებელი ფართობის ნორმა ყველა ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში არ უნდა იყოს 4 კვ. მეტრზე ნაკლები“.

უნდა იყოს საპირფარეშოებითა და საშხაპეებით სარგებლობის დროს.<sup>40</sup> ამავე კომიტეტის სტანდარტების თანახმად, ჰუმანური გარემოს არსებითი კომპონენტია სათანადო პირობებში საპირფარეშოზე იოლი ხელმისაწვდომობა და ჰიგიენის სათანადო სტანდარტების დაცვა.<sup>41</sup>

მონიტორინგის შედეგად გაირკვა, რომ N6 დაწესებულებაში ყველა უსაფრთხო საკანში და საშიშროების მაღალი რისკის პატიმრების საკნებში დამონტაჟებულია ვიზუალური მეთვალყურეობის სისტემა (ვიდეოკამერები), რომლის არეალშიც ექცევა საპირფარეშოს სივრცე და უზრუნველყოფილი არ არის პატიმრის პრивატულობა.

დაწესებულების საცხოვრებელ საკნებში არსებულ საპირფარეშოებში დამონტაჟებული არ არის ხელოვნური ვენტილაცია, ხოლო საკნებში არსებული ვენტილაცია არასაკმარისია. საკნებში არსებული იატაკი არის ბეტონის (ცივი), რაც შეიძლება ცუდად აისახოს პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობაზე. მეორე საცხოვრებელი კორპუსის საერთო საშხაპეები მხოლოდ ბუნებრივად ნიადაგზე ფანჯრების საშუალებით. ზოგიერთი საკნის საპირფარეშოში არსებულ ნიჟარებში გუბდება წყალი. განხორციელებული ვიზიტების დროს აშკარა გახდა, რომ საპირფარეშოებში არ არის განთავსებული წყლის ჩასარეცხი ავზი. პატიმართა გადმოცემით, მათ არ ეძლევათ პირადი ჰიგიენისთვის საჭირო ნივთები (ტუალეტის ქაღალდი, საპონი, კბილის ჯაგრისი). დაწესებულება ვერ უზრუნველყოფს პატიმრების მომარაგებას პირადი ნივთების შესანახი საკმარისი სათავსოებით.

დაწესებულებაში პატიმართა ხანმოკლე პაემნებისთვის განკუთვნილია 13 კაბინა. კაბინები გადატიხრულია მინის გამყოფი ბარიერით, რომელიც ორივე მხრიდან აღჭურვილია ლითონის ბადეებით. პატიმრებს ახლობლებთან ურთიერთობა უწევთ ტელეფონის საშუალებით და არ აქვთ ფიზიკური კონტაქტის შესაძლებლობა. ხანმოკლე პაემნის ოთახში არ არის ბუნებრივი ვენტილაცია.<sup>42</sup>

2014 წლის საპარლამენტო ანგარიშში, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს N6 დაწესებულებაში როგორც საცხოვრებელ, ასევე სამართლო და საკარანტინო საკნებში, საგამოძიებო ოთახებსა და საშხაპე ოთახებში უზრუნველყოფილიყო სათანადო ხელოვნური ვენტილაცია. ეს რეკომენდაცია მხოლოდ სამართლო საკნებთან მიმართებაში შესრულდა, ხოლო საკარანტინო, საგამოძიებო, საცხოვრებელ და საშხაპე ოთახებში კვლავ დგას აღნიშნული პრობლემა.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

- ❖ N6 დაწესებულებაში ახალგაარემონტებულ საკნებში არსებულ საპირფარეშოებში პატიმართა განმარტოების უზრუნველსაყოფად განხორციელდეს კარის მეშვეობით საპირფარეშოს საკნიდან სრული იზოლირება

<sup>40</sup> იხილეთ: <http://www.cpt.coe.int/documents/hun/2010-16-inf-eng.pdf> იხილეთ გვ. 19, პარ. 31, ასევე, <http://www.cpt.coe.int/documents/ita/2013-32-inf-eng.pdf> გვ. 30, პარ. 60 [ბოლოს ნანახია 07.07.2016].

<sup>41</sup> გვ.25, პარ. 49.

<sup>42</sup> ხანმოკლე პაემნის ოთახში არსებული ფანჯრები ჩაკეტილია ბოქლომით.



- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა დაწესებულების საერთო საშხაპეებში, საცხოვრებელ, საკარანტინო და საგამომიებო ოთახებში ხელოვნური სავენტილაციო სისტემის უზრუნველსაყოფად
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა საცხოვრებელ საკნებში არსებული საპირფარეშოების წყლის ჩასარეცხი ავზებით უზრუნველსაყოფად
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა პატიმართა პირადი ჰიგიენის ნივთებით რეგულარულად მომარაგების უზრუნველსაყოფად
- ❖ უზრუნველყოს პატიმართა პირადი ნივთებისათვის სათავსოებით მომარაგება

## 4.2 დღის განრიგი და სარეაბილიტაციო აქტივობები

პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულება არის პატიმრობისა და განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულება.<sup>43</sup> საყურადღებოა, რომ ამ დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები 23 საათს ატარებენ საკნებში და მათი გასეირნება 1 საათით სასეირნო ეზოებში ხდება. სასეირნო ფართი შემოსაზღვრულია ბეტონის კედლებით და გადახურულია მეტალის ბადით. აღნიშნულის გამო მზის სხივები და სუფთა ჰაერი იქ სათანადოდ ვერ აღწევს. პატიმრებს სასეირნო ეზოებში სავარჯიშო ინვენტარის არ არსებობის გამო არ აქვთ სათანადო ფიზიკური დატვირთვის შესაძლებლობა, რაც შეიძლება მძიმედ აისახოს მათ ჯანმრთელობაზე. შესაბამისად, აუცილებელია, დაწესებულებაში შეიქმნას სუფთა ჰაერზე ყოფნისა და ვარჯიშის სათანადო პირობები და ამასთანავე გაიზარდოს ყოველდღიურად სუფთა ჰაერზე ყოფნის ხანგრძლივობა.

განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში დამაკმაყოფილებელი აქტივობების პროგრამის არსებობა ისეთივე და უფრო მეტად მნიშვნელოვანიც შეიძლება იყოს ვიდრე დაბალი რისკის ციხეებში. შესაბამისად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს განათლების, პროფესიული მომზადების, სამუშაოს, დასვენების დროის გამოყოფა და შესაბამისი აქტივობების განხორციელება, იმ ოდენობით, რაც შესაძლებელია უსაფრთხოების ასპექტების გათვალისწინებით. აქტივობები უნდა იყოს მაქსიმალურად მრავალფეროვანი, რამდენადაც ეს შესაძლებელია.<sup>44</sup>

სახალხო დამცველმა თავის არაერთ ანგარიშში<sup>45</sup> აღნიშნა, რომ პენიტენციურ დაწესებულებაში არსებული პირობები უნდა უზრუნველყოფდეს პატიმრის რესოციალიზაციასა და რეინტეგრაციას

<sup>43</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 27 აგვისტოს N106 ბრძანება „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს პენიტენციური დაწესებულებების შესახებ“.

<sup>44</sup> წამების, არაადამიანური დამამცირებელი მოპყრობის ან დასჯის ევროპული კომიტეტი (CPT), 11th ზოგადი ანგარიში, კომიტეტის აქტივობები 2000 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით, პარაგრაფი 32, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: [http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-11.htm#\\_Toc523890679](http://www.cpt.coe.int/en/annual/rep-11.htm#_Toc523890679), [ბოლოს ნანახია 07.07.2016].

<sup>45</sup> იხილეთ სახალხო დამცველის 2014 წლის საპარლამენტო ანგარიში, ხელმისაწვდომია შემდეგ ელექტრონულ მისამართზე < <http://www.ombudsman.ge/uploads/other/3/3509.pdf> > [ბოლოს ნანახია: 07.07.2016].

საზოგადოებაში. მსჯავრდებულმა სასჯელის მოხდის პერიოდში უნდა მიიღოს ან გაიღრმავოს მისთვის სასურველი და ხელმისაწვდომი განათლება და უნარ-ჩვევები, მიეცეს საშუალება მონაწილეობდეს სპორტულ, სახელოვნებო, ინტელექტუალურ, თუ სხვა სახის ღონისძიებებში.

რესოციალიზაციის პროცესი კომპლექსურ მიდგომას მოითხოვს, რაც გულისხმობს კარგად გააზრებული სამოქმედო გეგმის შემუშავებას, რომელიც ზოგადი ხასიათის ღონისძიებების გატარებასთან ერთად, ინდივიდუალურ მიდგომასაც ითვალისწინებს.

ფიზიკური და ფსიქიკური ჯანმრთელობის შენარჩუნების მიზნით ყველა დაწესებულებაში პატიმრები უზრუნველყოფილნი უნდა იყვნენ დასვენებისა და კულტურული საქმიანობის შესაძლებლობით<sup>46</sup>. ევროპული ციხის წესების თანახმად, ყოველი სასჯელადსრულების დაწესებულება უნდა ცდილობდეს, რომ პატიმრები უზრუნველყოს საგანმანათლებლო პროგრამების ხელმისაწვდომობით, რომლებიც იქნება შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი და უპასუხებს პატიმართა ინდივიდუალურ საჭიროებებს მათი მისწრაფებების გათვალისწინებით.<sup>47</sup>

დაწესებულების სოციალური სამსახურის უფროსთან გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ 2015 წლის იანვრიდან მაისის თვის ჩათვლით N6 დაწესებულებაში მიმდინარე სარემონტო სამუშაოების გამო ვერ მოხერხდა პატიმართა მონაწილეობით სარეაბილიტაციო აქტივობათა განხორციელება. წლის მანძილზე განხორციელებული აქტივობების შესახებ მონაცემები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

აქტივობა	თარიღი	ჩართულობა
ტურნირი შაშში	30.06.2015	11 პატიმარი
ტურნირი შაშში	17.07.2015	10 (სამეურნეო სამსახ.)
ტურნირი ჭადრაკში	20/21.08.2015	10 პატიმარი
ტურნირი შაშში	16.11.2015	6 პატიმარი

გარდა ცხრილში მოცემული აქტივობებისა, 2015 წლის 4 ნოემბერს იუსტიციის სამინისტროს სსიპ პრევენციის ცენტრის მიერ განხორციელდა ვიდეო-რგოლის ჩვენება „ინფორმაციის მიწოდება ცენტრის საქმიანობისა და სარეაბილიტაციო სერვისების შესახებ“. აღნიშნულ ჩვენებას დაესწრო 14 პატიმარი.<sup>48</sup>

ზემოთ მოცემული მონაცემების ანალიზი ცხადყოფს, რომ დაწესებულებაში საერთოდ არ ხორციელდება ფსიქო-სოციალური სარეაბილიტაციო აქტივობები. პრაქტიკულად შეუძლებელია ჯგუფური თერაპიის ჩატარება. ზემოთ აღნიშნული ტურნირების ჩატარება ვერ ჩაითვლება დამაკმაყოფილებელ სოციალურ აქტივობად. დაწესებულებაში არსებული სარემონტო სამუშაოები კი ვერ ჩაითვლება აღნიშნული პრობლემის გამართლებად.

<sup>46</sup> ნელსონ მანდელას წესები, წესი 105.

<sup>47</sup> ევროპული ციხის წესები, წესი 28.1.

<sup>48</sup> აქედან 4 სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პატიმარი იყო.

აუცილებელია პატიმრებს, სულ მცირე, საკანში მიეცეთ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე მათთვის საინტერესო თავშესაქცევი, სახელოვნებო, შრომითი, შემეცნებითი და სხვა აქტივობებით. ასევე მნიშვნელოვანია, თუნდაც დაწესებულების შეზღუდული შესაძლებლობის პირობებში, ხელი შეეწყოს გარკვეულ ინდივიდუალურ სპორტულ აქტივობებს. მაგალითად, თხოვნის შემთხვევაში დამატებით მოხდეს პატიმრის გაყვანა სასეირნო ეზოში, სადაც ის შეძლებს ვარჯიშს ინდივიდუალურად. ამ მიზნით, უსაფრთხოების დაცვის ინტერესების გათვალისწინებით, შესაძლებელია სასეირნო ეზოში ელემენტარული სპორტული აღჭურვილობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის შეფასებით, N6 დაწესებულებაში პატიმრებს არ გააჩნიათ შესაძლებლობა დაკავდნენ რაიმე ღირებული, მათთვის საინტერესო აქტივობით. ამგვარი მდგომარეობა დაწესებულებაში ქმნის არაჯანსაღ, სტრესულ გარემოს, რაც უარყოფითად აისახება პატიმრებსა და დაწესებულების თანამშრომლებს შორის არსებულ ურთიერთობაზე, ასევე დაწესებულებაში წესრიგისა და უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფაზე.

2013 და 2014 წელს საპარლამენტო ანგარიშში სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს, უზრუნველყო პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში პატიმართა რესოციალიზაციის სხვადასხვა პროგრამების დანერგვა და განხორციელება, რაც არ შესრულებულა და ეს პრობლემა დაწესებულებაში დღემდე მწვავედ დგას.

ყოველ დაწესებულებას უნდა ქონდეს ბიბლიოთეკა ყველა პატიმრის სარგებლობისთვის, რომელიც სათანადოდ იქნება აღჭურვილი როგორც რეკრეაციული ისევე საგანმანათლებლო რესურსებით, წიგნებით და სხვა საშუალებებით.<sup>49</sup> N6 დაწესებულებაში ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, სადაც ირიცხება 2600-მდე წიგნი. ბიბლიოთეკაში დასაქმებული იყო 1 მსჯავრდებული. მისი განმარტებით, ერთი თვის განმავლობაში ბიბლიოთეკიდან გადის საშუალოდ 500-მდე წიგნი; ბიბლიოთეკის წიგნების ფონდის ბოლო განახლება (500 წიგნით განახლდა) განხორციელდა 2015 წლის 1 სექტემბერს, დაწესებულების სოციალური სამსახურის მუშაკის მიერ; ბიბლიოთეკაში უცხო ენოვანი მხატვრული ლიტერატურა ხელმისაწვდომია მხოლოდ რუსულ და ინგლისურ ენებზე.

## დასაქმება

ევროპული ციხის წესების თანახმად, „სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმრის მუშაობა უნდა აღიქმებოდეს, როგორც ციხის რეჟიმის პოზიტიური ელემენტი და არასდროს არ უნდა იქნეს სასჯელის სახით გამოყენებული.“<sup>50</sup> „ციხის ხელმძღვანელობა უნდა ცდილობდეს სასარგებლო ხასიათის საკმარისი სამუშაოთი პატიმრების უზრუნველყოფას.“<sup>51</sup> „პატიმრისათვის განკუთვნილი სამუშაო უნდა იყოს შეძლებისდაგვარად იმგვარი, რომ უნარჩუნებდეს ან ავითარებდეს პატიმრის მიერ გათავისუფლების შემდგომ თავის რჩენის უნარს.“<sup>52</sup>

<sup>49</sup> ციხის ევროპული წესები, წესი 28.5

<sup>50</sup> ციხის ევროპული წესები, წესი 26.1.

<sup>51</sup> იქვე, 26.2-ე წესი.

<sup>52</sup> ციხის ევროპული წესები, წესი 26.3.

N6 დაწესებულებაში ვიზიტის დროს, სამეურნეო სამსახურში ირიცხებოდა 25 მსჯავრდებული. მსჯავრდებულებს უწევდათ ისეთი სამუშაოების შესრულება, როგორცაა ამანათის მიტანა, საკვების პატიმრებისთვის დარიგება, რეცხვა, დაწესებულების ტერიტორიაზე განთავსებული მაღაზიიდან საკვები პროდუქტებისა და დამატებითი მოხმარების საგნების მიწოდება და დალაგება-დასუფთავება. დასაქმებულ მსჯავრდებულებს შესრულებული სამუშაოსთვის ეძლეოდათ ანაზღაურება-ხელფასის სახით, რომლის ოდენობა განისაზღვრება მათი პოზიციის შესაბამისად. ჯგუფის უფროსის ხელზე ასაღები თანხაა-200, უფროსის მოადგილის-180, ხოლო მომსახურე პერსონალის 160 ლარი.

პენიტენციურ დაწესებულებებში მსჯავრდებულთა სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა რეგულირდება „მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N157 ბრძანების საფუძველზე. აღნიშნული ბრძანების თანახმად, თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად მსჯავრდებულის ჩარიცხვა მსჯავრდებულის წერილობითი განცხადების საფუძველზე ფორმდება დაწესებულების დირექტორის ბრძანებით.<sup>53</sup> დაწესებულების დირექტორის ბრძანება მსჯავრდებულის სამეურნეო სამუშაოების შესასრულებლად ჩარიცხვის შესახებ არ შეიცავს ისეთ მონაცემს, როგორცაა შესასრულებელი სამუშაოს სახე, რაც საქართველოს შრომის კოდექსის მე-6 მუხლის<sup>54</sup> მიხედვით შრომითი ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს. შესასრულებელი სამუშაოს სახის განუსაზღვრელობა დაწესებულებაში დასაქმებულ მსჯავრდებულებს სხვადასხვა ისეთი სამუშაოს შესრულების საფრთხის წინაშე აყენებს, რაც მისთვის დასაქმებამდე უცნობი იყო.

2015 წლის განმავლობაში N6 დაწესებულებაში განხორციელებული ვიზიტების შედეგად დადგინდა, რომ სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულთა მნიშვნელოვან ნაწილს, უწევს შაბათ-კვირას და სადღესასწაულო დღეებში მუშაობა. შესაბამისად, აუცილებელია, ყველა სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ მსჯავრდებულს მისი სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვის ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში გაიწეროს, კონკრეტულად რა საქმის შესასრულებლად ხდება მათი სამეურნეო სამსახურში ჩარიცხვა. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია შემუშავდეს ყველა დაწესებულებისათვის ერთიანი აღრიცხვის ფორმა, სადაც დაფიქსირდება სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირის მუშაობის გრაფიკი და მის მიერ საათობრივად შესრულებული სამუშაო. აღნიშნული ჟურნალის საფუძველზე შესაძლებელი გახდება დადგინდეს, თუ რამდენ საათს მუშაობს სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული თითოეული მსჯავრდებული, ასრულებენ თუ არა ისინი ზეგანაკვეთურ სამუშაოს და როგორ ანაზღაურდება ზეგანაკვეთური მუშაობა.

**რეკომენდაცია საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

<sup>53</sup> „მსჯავრდებულის მიერ სამეურნეო სამუშაოების შესრულების და მისთვის ანაზღაურების მიცემის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის N157-ე ბრძანება, დანართი 1, მუხლი 4.

<sup>54</sup> მე-9 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი.

- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა შესაძლებელი გახდეს ყველა პაციმრის ყოფნა სუფთა ჰაერზე დღის განმავლობაში ერთ საათზე მეტი ხნით
- ❖ N6 დაწესებულებაში სასეირნო ეზო იმგვარად მოეწყოს, რომ შესაძლებელი გახდეს ფიზიკური ვარჯიში, უზრუნველყოს სპორტული მოედნის ხელმისაწვდომობა. სასეირნო ეზოში უზრუნველყონ სკამების, სავარჯიშო და სხვა საჭირო ინვენტარის დამონტაჟება, უსაფრთხოების ინტერესების გათვალისწინებით
- ❖ მიიღოს ყველა ზომა დაწესებულებაში სპორტული აქტივობების განხორციელებისათვის საჭირო პირობების შესაქმნელად და რეგულარულად გაიმართოს მრავალფეროვანი სპორტული ღონისძიებები
- ❖ მიიღოს ყველა ზომა, რათა მაქსიმალურად შეეწყოს ხელი დაწესებულების სოციალურ განყოფილებას დაგეგმოს და პაციმრების მონაწილეობით ჩაატაროს სხვადასხვა ღონისძიებები. ასეთი ღონისძიებების დაგეგმვისას მოხდეს პაციმართა ინტერესის სფეროების გათვალისწინება და შეთავაზებული აქტივობების მრავალფეროვნება
- ❖ სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვის ბრძანებაში ან თანდართულ დოკუმენტში განისაზღვროს, კონკრეტულად რა სამუშაოს შესასრულებლად ხდება სამეურნეო სამსახურში მსჯავრდებულის ჩარიცხვა
- ❖ შემუშავდეს ყველა დაწესებულებისათვის ერთიანი აღრიცხვის ფორმა, სადაც დაფიქსირდება სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული პირის მუშაობის გრაფიკი და მის მიერ საათობრივად შესრულებული სამუშაო; განხილულ იქნეს ზეგანაკვეთურად შესრულებული სამუშაოს შრომის კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურების საკითხი

## 5. სამედიცინო მომსახურება

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო თავის განჩინებაში საქმეზე კუდლა პოლონეთის წინააღმდეგ (Kudla v. Poland) განმარტავს, რომ „კონვენციის მე-3 მუხლი სახელმწიფოს აკისრებს ვალდებულებას დაიცვას თავისუფლება აღკვეთილი პირის ფიზიკური ჯანმრთელობა.“ სასამართლო თავის არაერთ განჩინებაში უთითებს, რომ „შესაბამისმა ორგანოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ დიაგნოზი და მკურნალობა იყოს დროული და ზუსტი და სამედიცინო პერსონალის მიერ გაწეული ზედამხედველობა იყოს რეგულარული და სისტემატიური ხასიათის და მოიცავდეს სრულ თერაპიულ სტრატეგიას“.<sup>55</sup>

სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებაში მოთავსებულ პაციმრებს ემსახურებოდა 1 პირველადი ჯანდაცვის გუნდი. დაწესებულებაში არის საექიმო-სამედიცინო პუნქტი, რომელიც განთავსებულია მე-2 კორპუსის პირველ სართულზე. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს დასრულებული არ იყო სარემონტო სამუშაოები, ამიტომ სამედიცინო პუნქტში არც ერთი პაციენტი არ იმყოფებოდა. საექიმო-სამედიცინო პუნქტში ფუნქციონირებს: ექიმთა საორდინატორო, მორიგე სამედიცინო პერსონალის კაბინეტი, სამანიპულაციო კაბინეტი, აივ-ინფექცია/ შიდსის და C ჰეპატიტის კვლევის ოთახი,

<sup>55</sup> Inter alia ჯაში საქართველოს წინააღმდეგ, 2013 წლის 8 იანვრის განჩინება, პარ. 61.



სტომატოლოგიური კაბინეტი, რენტგენის კაბინეტი, სასტერილიზაციო ოთახი, ავადმყოფთა მომსახურებისათვის ცხრა 2-3 საწოლიანი პალატა.

სამედიცინო ნაწილში შესამდებელია შემდეგი სახის მანიპულაციების ჩატარება: ინტრავენური გადასხმები, ინექციები, შეხვევები, მცირე ქირურგიული მანიპულაციები, რენტგენოგრაფია, სისხლის ექსპრეს ანალიზები ტესტ-ჩხირებით.

სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, N6 დაწესებულების სამედიცინო პერსონალის შემადგენლობაშია 18 თანამშრომელი, აქედან 7 ექიმი, 1 წამლების სამარაგოს პასუხისმგებელი პირი და 10 ექთანი. სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს დაწესებულებაში მოთავსებული იყო 121 პაციმარი. პაციმრების ექიმებთან და ექთნებთან თანაფარდობით 1 ექიმი ემსახურება 17 პაციმარს, ხოლო 1 ექთანი 12 პაციმარს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული თანაფარდობის დროს არ არის გათვალისწინებული ექიმების მორიგეობის გრაფიკი. დაწესებულებიდან მიღებული ინფორმაციის თანახმად, სამუშაო დღეებში დღის განმავლობაში დაწესებულებაში იმყოფება 1 პჯდ ექიმი, 2 დღის ექთანი და 1 მორიგე ექთანი. დამის განმავლობაში, ისევე როგორც შაბათ-კვირას დაწესებულებაში არის 1 მორიგე ექიმი და 1 მორიგე ექთანი.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი<sup>56</sup> მიუთითებს, რომ ექიმი ნებისმიერ დროს უნდა იყოს ხელმისაწვდომი პაციმრებისთვის, მათთვის განკუთვნილი რეჟიმის მიუხედავად. სამედიცინო მომსახურება იმგვარად უნდა იყოს ორგანიზებული, რომ დაუყოვნებლივ დაკმაყოფილდეს ექიმთან კონსულტაციის მოთხოვნა. აღსანიშნავია, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან საუბრის დროს N6 დაწესებულებაში მოთავსებული პაციმრები მიუთითებდნენ სამედიცინო პერსონალის ხელმისაწვდომობის პრობლემაზე, ასევე მათი მხრიდან უყურადღებობაზე. პაციმრების განმარტებით, ხშირად პირველადი სამედიცინო მომსახურების მიღებისთვის ლოდინი უწევთ, ასევე ხელმიუწვდომელია ტკივილგამაყუჩებელი და გაციების საწინააღმდეგო მედიკამენტები.

საჭიროების შემთხვევებში, დაწესებულებაში სხვადასხვა პერიოდულობით, შემოდიან შემდეგი სამედიცინო დარგის სპეციალისტები: ინფექციონისტი, ფსიქიატრი, ნევროლოგი, უროლოგი, ოტორინოლარინგოლოგი, ოფთალმოლოგი, რადიოლოგი, სტომატოლოგი. დაწესებულების სტომატოლოგი პაციენტებს უწევს როგორც თერაპიულ, ასევე ქირურგიულ მომსახურებას. სტომატოლოგი ორთოპედი კი დაწესებულებაში შედის საჭიროებისამებრ.

დაწესებულებაში კონსულტაციაზე პაციმართა ჩაწერა ფიქსირდება კონსულტაციის აღრიცხვის ჟურნალში, თუმცა ჩაწერის თარიღები არსად არის მითითებული და შესაბამისად, შეუძლებელი ხდება იმის გარკვევა, თუ რამდენი ხანი უწევს ლოდინი კონსულტაციაზე ჩაწერილ პაციმარს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგადად, სხვა პენიტენციური დაწესებულებების სამედიცინო ნაწილებშიც წარმოებს კონსულტაციების აღრიცხვის ჟურნალი, თუმცა ეს არ არის სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის მიერ დამტკიცებული ერთიანი ფორმა, რომლის წარმოებაც, დადგენილი

<sup>56</sup> წამების პრევენციის ევროპული კომიტეტის სტანდარტები, პარ. 34, გვ. 61.

წესის შესაბამისად, ყველა დაწესებულებას მოეთხოვება. აქედან გამომდინარე, აუცილებელია ერთიანი, სპეციალური ფორმის დამტკიცება, სადაც მიეთითება პაციენტის სახელი და გვარი, კონსულტაციის საჭიროების დადგენის თარიღი და დრო, ასევე ვინ დაუდგინა კონსულტაციის საჭიროება, რომელი სპეციალისტის კონსულტაციას საჭიროებს და კონსულტაციის მიღების შემდგომ, შესაბამისი თარიღისა და რეკომენდაციების მისათითებელი გრაფა.

2015 წლის 01 იანვრიდან აგვისტოს ჩათვლით N6 დაწესებულებაში მოწვეულ ექიმ-სპეციალისტთა მიერ ჩატარებული კონსულტაციების შესახებ მონაცემები იხილეთ ქვემოთ, ცხრილში:

ექიმ-კონსულტანტი		იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სულ	
1	რენტგენი	ვიზიტი	-	-	4	3	3	2	2	1	15
		პაციენტი	-	-	14	13	14	13	15	5	74
2	რადიოლოგი-ექოსკოპია	ვიზიტი	-	1	-	2	1	1	-	1	6
		პაციენტი	-	11	-	17	19	11	-	12	70
3	დერმატოლოგი	ვიზიტი	1	-	1	1	1	1	1	1	7
		პაციენტი	11	-	8	13	16	15	10	14	87
4	კარდიოლოგი	ვიზიტი	1	-	-	-	1	-	-	-	2
		პაციენტი	2	-	-	-	3	-	-	-	5
5	ინფექციონისტი	ვიზიტი	-	-	-	-	-	1	-	-	1
		პაციენტი	-	-	-	-	-	1	-	-	1
6	ოფთალმოლოგი	ვიზიტი	1	-	-	1	1	1	-	1	5
		პაციენტი	11	-	-	12	13	13	-	7	56
7	ოტოლარინგოლოგი	ვიზიტი	-	-	1	1	-	1	1	1	5
		პაციენტი	-	-	7	5	-	8	8	8	36
8	ნევროპათოლოგი	ვიზიტი	-	1	-	1	2	1	1	1	7
		პაციენტი	-	8	-	8	12	12	8	8	56
9	უროლოგი	ვიზიტი	1	1	-	1	-	1	1	1	6
		პაციენტი	6	5	-	13	-	10	8	9	51
10	ელასტოგრაფია	ვიზიტი	-	-	-	1	-	-	1	-	2
		პაციენტი	-	-	-	5	-	-	13	-	18
11	ენდოკრინოლოგი	ვიზიტი	-	-	-	1	-	-	-	-	1
		პაციენტი	-	-	-	4	-	-	-	-	4
12	სტომატ-ორთოპედი	ვიზიტი	1	-	-	2	2	-	2	1	8
		პაციენტი	5	-	-	6	14	-	5	5	35
13	ფსიქიატრი	ვიზიტი	2	3	3	3	3	3	4	4	25
		პაციენტი	33	57	49	46	61	37	61	45	389
14	პროქტოლოგი	ვიზიტი	1	-	-	-	1	1	-	1	4
		პაციენტი	5	-	-	-	7	9	-	5	26
15	მულტიდისც. გუნდი	ვიზიტი	-	3	3	1	-	-	1	-	8

		პაციენტი	-	27	10	1	-	-	1	-	39
16	სტომატოლოგი	ვიზიტი	1	-	-	-	-	-	-	1	2
		პაციენტი	20	-	-	-	-	-	48	20	88
17	ჰემატოლოგი	ვიზიტი	-	-	-	-	-	-	1	-	1
		პაციენტი	-	-	-	-	-	-	1	-	1
19	ელ. ენცეფალოგრამა	ვიზიტი	-	-	-	-	-	1	-	-	1
		პაციენტი	-	-	-	-	-	3	-	-	3

სამედიცინო დეპარტამენტიდან მიღებული ინფორმაციიდან ირკვევა, რომ N6 დაწესებულებაში ყველაზე მეტად გავრცელებულია საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები, ქცევითი და ფსიქიკური აშლილობები და ვირუსული ჰეპატიტები. აღნიშნული დაავადებების შესახებ მონაცემები თვეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

პრევალენტობა დაავადებები	დაავადებები											
	იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
ვირუსული ჰეპატიტები	28	34	34	34	34	35	36	36	22	22	23	28
ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები	37	45	45	45	45	46	46	47	47	70	71	77
საჭმლის მომნელებელი სისტემის დაავადებები	3	6	6	-	21	21	21	21	21	22	22	26

ცხრილში მოყვანილი მონაცემებიდან ნათლად ჩანს, რომ დაწესებულებაში მოთავსებული პაციენტების უმეტესობას პრობლემები აქვს ფსიქიკური ჯანმრთელობის კუთხით. აუცილებელია იმ პაციენტთა ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, რომლებიც სისტემატურად ავლენენ ანტისოციალურ ქცევას და არსებობს ეჭვი, რომ ასეთი ქცევა სწორედ მათი ფსიქიკური ჯანმრთელობის მდგომარეობით შეიძლება იყოს განპირობებული. აღსანიშნავია, რომ დაწესებულებაში 2015 წლის მანძილზე დაფიქსირებული იყო 276 თვითდაზიანების შემთხვევა. ამასთან, პაციენტების დაახლოებით მესამედს ფსიქიკური და ქცევითი აშლილობები აქვს. აღნიშნულიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანია პაციენტები უზრუნველყოფილი იქნან დროული და ადეკვატური ფსიქიატრიული დახმარებით, რისთვისაც აუცილებელია დაწესებულებაში დამატებული იქნას ფსიქიატრის შტატი.

დაწესებულების მთავარი ექიმის განმარტებით, სამედიცინო ნაწილის ყველა პალატა აღიჭურვება ვიდეომეთვალყურეობის სისტემით, ამიტომ ცაკლე პალატის გამოყოფა ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემების მქონე პირებისთვის არ იგეგმება. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს სასამართლო სამედიცინო ფსიქიატრიულ ექსპერტიზაზე გაყვანილი იქნა 4 პაციენტი, არანებაყოფლობითი მკურნალობის მიზნით აკად. ბ. ნანეიშვილის ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრში კი მოთავსებული იქნა 3 პაციენტი.



მიუხედავად იმისა, რომ დაწესებულებაში გავრცელებულია დეპრესიის, თვითდაზიანების და სუიციდის მცდელობის შემთხვევები<sup>57</sup>, სუიციდის პრევენციის პროგრამის გარდა,<sup>58</sup> არც ერთი სახის სარეაბილიტაციო პროგრამა არ ხორციელდება.

მიმდინარე წელს სუიციდის ფაქტი დაწესებულებაში არ დაფიქსირებულა. მთავარი ექიმის განმარტებით, ამას განაპირობებს ისიც, რომ დაწესებულების საკნების უმრავლესობა ვიდუო კამერებით არის აღჭურვილი. სუიციდის მცდელობის შემთხვევაში პატიმრებს უტარდებათ პირველადი სამედიცინო დახმარება და ფსიქიატრის კონსულტაცია.<sup>59</sup>

მიუხედავად იმისა, რომ სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტის დროს<sup>60</sup> ვირუსული ჰეპატიტით დაავადებული პატიმრების რაოდენობა იყო 22, მკურნალობის კურსში არც ერთი პატიმარი არ იყო ჩართული. რაც შეეხება ტუბერკულოზის მკურნალობას, 2015 წლის 15 სექტემბერის მდგომარეობით დაწესებულებაში მყოფი 1 პატიმარი იყო ჩართული DOTS მკურნალობის სქემაში.

N6 დაწესებულების მთავარი ექიმის განმარტებით, დაწესებულებაში ახლად შემოსული პატიმარი მოწმდება მორიგე ექიმის მიერ. ექიმის მიერ პაციენტის შემოწმების პროცედურას როგორც წესი, ესწრება რეჟიმის განყოფილების თანამშრომელი ან უსაფრთხის განყოფილების თანამშრომელი. აღსანიშნავია, რომ ნორმატიულ დონეზე სრულად არ არის უზრუნველყოფილი კონფიდენციალურობის დაცვის გარანტიები. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის „საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ“ 2015 წლის 27 აგვისტოს N108 ბრძანების 58 მუხლის მე-5 ნაწილის თანახმად, ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა მიღება საექიმო-სამედიცინო პუნქტებში ხორციელდება ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა საჭიროებიდან გამომდინარე, რეჟიმის განყოფილების მოსამსახურის დაუსწრებლად, გამონაკლისია როდესაც ექიმი უსაფრთხოების მიზნებიდან გამომდინარე, ითხოვს ასეთი პირის დასწრებას კონსულტაციის მიმდინარეობისას.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტმა მოლდოვაში განხორციელებული ვიზიტის შემდგომ ანგარიშში, რომელიც შეეხებოდა ექიმის მიერ სამედიცინო შემოწმების განხორციელებისას განსაკუთრებული უსაფრთხოების ზომების გამოყენებას, კონკრეტულად კი სამედიცინო შემოწმებას რკინის გისოსებიანი კარებს მიღმა აღნიშნა, რომ უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების მიღება შეიძლება გახდეს საჭირო სამედიცინო შემოწმების განხორციელების კონკრეტულ შემთხვევაში. მიუხედავად ამისა, ასეთი ღონისძიების სისტემატიურ გატარებას არ შეიძლება გამართლება ჰქონდეს. მნიშვნელოვანია, რომ მიღებულ იქნეს ალტერნატიული გამოსავალი, რომელიც შესაბამისობაში იქნება ლეგიტიმური უსაფრთხოების დაცვის ინტერესებთან. კომიტეტის მიერ ერთ-ერთ ასეთ საშუალებად მიჩნეულ იქნა განგაშის ზარის სისტემის მონტაჟი,

<sup>57</sup> 2015 წელს 18 სუიციდის მცდელობის შემთხვევა დაფიქსირდა.

<sup>58</sup> ვიზიტის დროს ჩართული იყო 4 პატიმარი, ამათგან 1 პატიმარი აკად. ბ. ნანეიშვილის სახელობის ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში იყო გადაყვანილი.

<sup>59</sup> ფსიქიკური ჯანმრთელობის პრობლემები დაწესებულებაში მყოფ 47 პატიმარს აქვს.

<sup>60</sup> 2015 წლის 15 სექტემბერის ვიზიტი.

რომლის დროსაც ექიმს შეეძლება სწრაფად გამოიძახოს პოლიციის ოფიცერი იმ გამონაკლის შემთხვევებში, როდესაც პაციმარი არის აქტირებული ან სამედიცინო შემოწმების განხორციელებისას ადგილი აქვს მუქარას.<sup>61</sup>

სპეციალურ პრევენციულ ჯგუფს მიაჩნია, რომ ექიმის სიცოცხლე და ჯამრთელობა დაცული უნდა იყოს, ამასთან, რეალური და იმწუთიერი საფრთხის არსებობის შემთხვევაში გარკვეული ზომები უნდა იქნეს მიღებული მისი უსაფრთხოების დასაცავად. თუმცა, მსგავსი ზომების მიღებისასაც კი, როცა ხდება პაციენტის ექიმთან კონფიდენციალურად გასაუბრების უფლების შეზღუდვა, აუცილებელია ჩარევა იყოს მართლზომიერი და ამის უზრუნველსაყოფად არსებობდეს დამატებითი გარანტიები, რაც არ არის გათვალისწინებული N6 დაწესებულების დებულებებით. კერძოდ, აუცილებელია იყოს დათქმა, რომ აღნიშნული ზომის გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც უსაფრთხოების დაცვის მიზნის მიღწევა შეუძლებელია უფრო ნაკლებად შემზღუდავი ზომების გამოყენებით. ამასთან დაწესებულებებში უნდა არსებობდეს უფრო ნაკლებად შემზღუდავი ზომების გამოყენების პირობები და საშუალებები.

იმ შემთხვევაში, როდესაც სხვა უფრო ნაკლებად შემზღუდავი ზომების გამოყენება არაეფექტურია და ხდება დაწესებულების თანამშრომლის დასწრება, აუცილებელია შედგეს შესაბამისი დოკუმენტი, სადაც მითითებული იქნება დასაბუთება რისკის რეალურობის შესახებ, კონკრეტულ გარემოებები, თუ რატომ შეიზღუდა ექიმთან კონფიდენციალური გასაუბრების უფლება, რამდენად იყო ეს აუცილებელი კონკრეტული გარემოებების გათვალისწინებით და რატომ იყო არაეფექტური სხვა ალტერნატიული ზომის გამოყენება. ასეთი დოკუმენტის არსებობა მონიტორინგის შიდა და გარე ორგანოებს მისცემს შესაძლებლობას, შეფასდეს, რამდენად ხშირად და დასაბუთებულად ხდება ამ უფლების შეზღუდვა. ზემოთ მითითებული, ამჟამად მოქმედი ნორმა ქმნის კონსულტაციის კონფიდენციალურობის არამართლზომიერად შეზღუდვის რეალურ საფრთხეს და უნდა აუცილებელია შეიცვალოს.

დაწესებულების სამედიცინო პერსონალს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა იდენტიფიცირების მკაფიო კრიტერიუმები არ გააჩნია, დაწესებულებაში ასევე არ არის სტატისტიკა შშმ პაციმრების შესახებ. დაწესებულების სამედიცინო ნაწილში მხოლოდ ერთი საკანია, რომელიც ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის.

დაწესებულებაში არ არის აფთიაქი, სადაც პაციმრებს შეეძლებათ შეიძინონ სასურველი მედიკამენტები. წამლების სამარაგოში ყველა მედიკამენტი განთავსებულია სათანადო პირობებში. შემოწმების შედეგად ვადაგასული მედიკამენტი აღმოჩენილი არ ყოფილა.

---

<sup>61</sup> პრევენციის ევროპული კომიტეტი ვიზიტი მოლდოვაში, CPT/Inf (2016) 16, ხელმისაწვდომია ინგლისურ ენაზე შემდეგ მისამართზე: <http://hudoc.cpt.coe.int/eng?i=p-mda-20150914-en-18>

## 6. კვება

ციხის ადმინისტრაციამ უნდა უზრუნველყოს ყველა პატიმარი ჯანმრთელობისათვის საჭირო კვებითი ღირებულების, კარგად მომზადებული და სასარგებლო საკვებით.<sup>62</sup> პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში დადგენილია ერთი ძირითადი და ოთხი სახის დიეტური მენიუ. დიეტური მენიუ გათვალისწინებულია კუჭ-ნაწლავის პრობლემების მქონე, ღვიძლით, ტუბერკულოზით და დიაბეტით დაავადებული პატიმრებისათვის.

N6 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები გამოთქვამენ უკმაყოფილებას საკვების გემოსთან და ხარისხთან დაკავშირებით, აცხადებენ, რომ უმეტესად დაწესებულებაში არსებულ მაღაზიაში ნაყიდი პროდუქტებით იკვებებიან. აღნიშნულთან დაკავშირებით, 2016 წლის 6 მაისს სახალხო დამცველის აპარატიდან N03-1/4437 წერილი გაიგზავნა სურსათის ეროვნულ სააგენტოში, რომელიც ახორციელებს სურსათის/ცხოველის საკვების უვნებლობის, ვეტერინარულ და ფიტოსანიტარულ კონტროლს. სახელმწიფო კონტროლი ხორციელდება შემდეგი მექანიზმებით: ინსპექტირება, მონიტორინგი, ზედამხედველობა, დოკუმენტური შემოწმება, ნიმუშის აღება. 2016 წლის 25 მაისს სურსათის ეროვნული სააგენტოდან მიღებული პასუხის თანახმად, 2016 წლის 31 აპრილს პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულების სასადილოში ჩატარებული იქნა ინსპექტირება.<sup>63</sup> საქართველოს სახალხო დამცველი მიესალმება სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ პენიტენციური დაწესებულებების სასადილოების შემოწმების ფაქტს და ხაზს უზვამს, რომ მნიშვნელოვანია გაგრძელდეს აღნიშნული პრაქტიკა და რეგულარულად განხორციელდეს პენიტენციური დაწესებულებების სასადილოების შემოწმება, ამასთან შემოწმების შედეგები ცნობილი გახდეს საზოგადოებისთვის.

ევროპული ციხის წესების მიხედვით პატიმრები უნდა იყვნენ უზრუნველყოფილი სათანადო საკვებით, მათი ასაკის, ჯანმრთელობის და ფიზიკური მდგომარეობის, რელიგიის, კულტურის და მუშაობის ხასიათის გათვალისწინებით.<sup>64</sup> აღსანიშნავია, რომ საკვების მომზადებისას არ არის გათვალისწინებული სხვადასხვა რელიგიური კონფესიების წარმომადგენელთა საჭიროებები. ამდენად, მნიშვნელოვანია, რომ მენიუს შედგენის დროს გათვალისწინებული იქნას რელიგიური თავისებურებები.

### რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:

- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სათანადო ფსიქიატრიული მომსახურების მიწოდების მიზნით, დაწესებულების საექიმო-სამედიცინო პუნქტს დაემატოს ფსიქიატრის 1 შტატი
- ❖ გაძლიერდეს სუიციდის პრევენციისკენ მიმართული ძალისხმევა, რა დროსაც გათვალისწინებული იქნება ფსიქიკური ჯანმრთელობის, წამალ დამოკიდებულების

<sup>62</sup> მანდელას წესები, წესი 22(1). ევროპული ციხის წესები, წესი 22.1-22.6.

<sup>63</sup> სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ N6 დაწესებულების სასადილოში ჩატარებული ინსპექტირების შედეგების შესახებ ინფორმაცია გამოთხოვილი იქნა N03-1/5735 წერილით.

<sup>64</sup> ევროპული ციხის წესები, მუხ. 22.1.

და ფსიქოტროპული მედიკამენტების ჭარბი მოხმარების პრობლემა

- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა სამედიცინო მომსახურების გაწევისას პატიმართა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობის დაცვის მიზნით
- ❖ დამტკიცდეს ერთიანი, სპეციალური ფორმა, სადაც მიეთითება პაციენტის სახელი და გვარი, სამედიცინო კონსულტაციის საჭიროების დადგენის თარიღი (ასევე ვინ დაუდგინა კონსულტაციის საჭიროება), რომელი სპეციალისტის კონსულტაციას საჭიროებს და კონსულტაციის მიღების შემდგომ შესაბამისი თარიღისა და რეკომენდაციების მისათითებელი გრაფა. მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რომ დაწესებულების სამედიცინო პერსონალმა აღნიშნული ფორმა სრულყოფილად შეავსოს
- ❖ გადაიხედოს გადაწყვეტილება დაწესებულების სამედიცინო პუნქტის ყველა პალატაში სათვალთვალო კამერის დამონტაჟების შესახებ, რათა დაცული იყოს პაციენტთა პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება
- ❖ დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები უზრუნველყოფილი იქნან დროული და ადეკვატური სამედიცინო მომსახურებით
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დაწესებულებაში უზრუნველყოფილი იქნას გაციების და ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტები
- ❖ საკვების მომზადებისას გათვალისწინებულ იქნას სხვადასხვა კონფესიების წარმომადგენელთა სპეციალური საჭიროებები

სურსათის ეროვნულ სააგენტოს უფროსს:

- ❖ რეგულარულად განხორციელდეს N6 პენიტენციური დაწესებულების სასადილოს შემოწმება და შემოწმების შედეგები ხელმისაწვდომი გახდეს ყველა დაინტერესებული მხარისთვის

## 7. რეჟიმი, დისციპლინური პასუხისმგებლობა, წახალისება

ევროპული ციხის წესების თანახმად, დისციპლინური სასჯელი გამოყენებულ უნდა იქნეს, როგორც უკიდურესი საშუალება.<sup>65</sup> ციხის ადმინისტრაციამ მედიაციის ყველა შესაძლებლობას უნდა მიმართოს, რათა მოაგვაროს საკამათო საკითხები პატიმრებთან და პატიმრებს შორის.<sup>66</sup> ნებისმიერი სასჯელის სიმკაცრე უნდა იყოს ჩადენილი დანაშაულის პროპორციული.<sup>67</sup> დასჯის თვალსაზრისით აკრძალულია კოლექტიური და ფიზიკური დასჯა, რომელიც ითვალისწინებს ბნელ საკანში პირის მოთავსებას, ასევე აკრძალულია არაადამიანური და ღირსების შემლახავი სხვა სახდელები.<sup>68</sup> მნიშვნელოვანია, რომ დისციპლინური სახდელი არ უნდა მოიცავდეს ოჯახთან კონტაქტის სრულად აკრძალვას.<sup>69</sup>

<sup>65</sup> ციხის ევროპული წესები. წესი 56.1.

<sup>66</sup> იქვე, წესი 56.2.

<sup>67</sup> იქვე, წესი 60.2.

<sup>68</sup> იქვე, წესი 60.3.

დისციპლინური სახდელების გამოყენება უნდა განხორციელდეს კანონის უზენაესობის პრინციპებიდან გამომდინარე და ნელსონ მანდელას წესებთან შესაბამისობაში. აქვე უნდა აღნიშნოს, რომ საქართველოს კანონმდებლობა არ განსაზღვრავს, თუ რომელი დისციპლინური სახდელი უნდა დაეკისროს დამრღვევს კონკრეტულ შემთხვევაში, რაც დაწესებულების ხელმძღვანელ პირებს საკმაოდ ფართო დისკრეციას აძლევს დისციპლინური სახდელის შერჩევის პროცესში და ზრდის სახდელების არაპროპორციულად გამოყენების რისკს.

ვიზიტის მიმდინარეობისას მონიტორინგის ჯგუფმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო N6 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელების გამოყენების პრაქტიკას. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ 2015 წლის განმავლობაში დაწესებულებაში დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნა 62 შემთხვევაში. დეტალური ინფორმაცია იხილეთ, ქვემოთ, ცხრილში.

N	2015 წელს დისციპლინური სახდელების გამოყენების შემთხვევები	რაოდენობა
1	სამართლო საკანში მოთავსება	16
2	გაფრთხილება	4
3	საყვედური	19
4	სატელეფონო საუბრის აკრძალვა	20
5	მაღაზიით სარგებლობის უფლების შეზღუდვა	1
6	პირადი ხასიათის კორესპონდენციის მიღება-გაგზავნის უფლების შეზღუდვა	2

2015 და 2014 წელს ნოემბრის თვის ჩათვლით, დისციპლინური სახდელების გამოყენების მაჩვენებლები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

წელი	სამართლო საკანი	სხვა სახდელები	სულ
2015	16	46	62
2014	37	24	61

2014 წლის მანძილზე N6 დაწესებულებაში ყოველთვიურად, საშუალოდ მოთავსებული იყო 378, ხოლო 2015 წელს - 123 პატიმარი. მიუხედავად პატიმართა რაოდენობის შემცირებისა, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით დისციპლინური სახდელის დაკისრების 1 შემთხვევით მეტი დაფიქსირდა, შესაბამისად, დისციპლინური სახდელების დაკისრების შემთხვევათა რაოდენობა პატიმართა ყოველთვიურ საშუალო რაოდენობასთან მიმართებით, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით 34,3 %-ით გაიზარდა.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წელს დისციპლინური სახდელების გამოყენების შემთხვევაში, სამართლო საკანში მოთავსების ხვედრითი წილი 60,6% იყო, ხოლო 2015 წელს ეს მონაცემი 25,8 %-ს

<sup>69</sup> იქვე, წესი 60.4.



შეადგენს. ეს მიუთითებს წინა წელთან შედარებით 2015 წელს დისციპლინური სახდელების გამოყენებისას სამართლო საკანში მოთავსების შემთხვევების შემცირებაზე, რაც დადებითად უნდა აღინიშნოს .

### პატიმართა წახალისება

საქართველოს პატიმრობის კოდექსის 66<sup>4</sup> მუხლის თანახმად, განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში მყოფი მსჯავრდებულის სანიმუშო ყოფაქცევისა და საქმიანობისადმი კეთილსინდისიერი დამოკიდებულების შემთხვევაში ადმინისტრაცია უფლებამოსილია მის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები:

- ა) მადლობის გამოცხადება;
- ბ) დაკისრებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
- გ) დამატებითი სატელეფონო საუბრის უფლების მიცემა;
- დ) დამატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა;
- ე) პირადი ტელევიზორით ან რადიომიმღებით სარგებლობის უფლების მიცემა;
- ვ) პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით საგამონაკლისო ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა;
- ზ) პენიტენციური დაწესებულების დირექტორის გადაწყვეტილებით, დეპარტამენტის დირექტორის თანხმობით იმ პირთან ხანმოკლე პაემნის უფლების მიცემა, რომელიც გათვალისწინებული არ არის ამ კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილით.<sup>70</sup>

2015 წლის მანძილზე N6 დაწესებულებაში პატიმართა წახალისების შემთხვევები იხილეთ ქვემოთ მოცემულ ცხრილში.

N	წლის მანძილზე გამოყენებული წახალისების ფორმები	რაოდენობა
1	დაკისრებული დისციპლინური სახდელის ვადაზე ადრე მოხსნა	24
2	მადლობის გამოცხადება	60
3	დამატებითი ხანმოკლე პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა	19

<sup>70</sup> პატიმრობის კოდექსის მე-17 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს მისი წერილობითი თხოვნის საფუძველზე შეიძლება მიეცეს თავის ახლო ნათესავებთან (შვილი, მეუღლე, პირი, რომელთანაც საერთო შვილი ჰყავს, მშობელი (მშვილებელი), დედინაცვალი, მამინაცვალი, მეუღლის მშობელი, გერი, ნაშვილები და მისი შთამომავალი, შვილიშვილი, და, ძმა, დისწული, ძმისწული და მათი შვილები, ბებია, პაპა, ბებიის დედ-მამა, პაპის დედ-მამა (როგორც დედის, ისე მამის მხრიდან), ბიძა (დედის ძმა, მამის ძმა), დეიდა, მამიდა, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი, აგრეთვე პირი, რომელთანაც ცხოვრობდა და საერთო მეურნეობას ეწეოდა პენიტენციურ დაწესებულებაში მოხვედრამდე ბოლო 1 წლის განმავლობაში) ხანმოკლე პაემნის უფლება. აღნიშნულ პირებთან შეხვედრაზე პენიტენციური დაწესებულების დირექტორის თანხმობა/მოტივირებული უარი ბრალდებულს/მსჯავრდებულს წერილობით ეცნობება.

4	დამატებითი ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლების მიცემა	24
<b>სულ</b>		<b>127</b>

2015 წელს წახალისების 127 შემთხვევიდან 67 შემთხვევაში სამეურნეო სამსახურში ჩარიცხული მსჯავრდებულები წახალისდნენ.

2014 წლის მანძილზე N6 დაწესებულებაში ყოველთვიურად, საშუალოდ მოთავსებული იყო 378, ხოლო 2015 წელს - 123 პატიმარი. მიუხედავად პატიმართა რაოდენობის შემცირებისა, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით წახალისების 42 შემთხვევით მეტი დაფიქსირდა, შესაბამისად, წახალისების შემთხვევათა რაოდენობა პატიმართა ყოველთვიურ საშუალო რაოდენობასთან მიმართებით, 2015 წელს 2014 წელთან შედარებით 81 %-ით გაიზარდა, რაც მისასალმებელია, ვინაიდან პატიმართა ხშირი წახალისება შეასუსტებს დაწესებულებაში ციხის სუბკულტურის გავლენას და ხელს შეუწყობს პატიმართა რესოციალიზაციას.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, დისციპლინური სახდელების გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპების შესამუშავებლად, რათა შესაძლებელი გახდეს დისციპლინური სახდელების ერთგვაროვანი გამოყენება
- ❖ დისციპლინური სახდელი გამოყენებულ იქნეს, როგორც უკიდურესი ღონისძიება
- ❖ სამართლო საკანში მოთავსება, როგორც დისციპლინური სახდელი, გამოყენებულ იქნეს მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში

**რეკომენდაცია N6 დაწესებულების დირექტორს:**

- ❖ სარეაბილიტაციო აქტივობებში მეტი ჩართულობის უზრუნველსაყოფად უფრო ხშირად იქნას გამოყენებული წახალისების ფორმები, როგორც სამეურნეო სამსახურში ჩარიცხულ, ასევე რიგითი პატიმრების მიმართ

## 8. კონტაქტი გარე სამყაროსთან

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი თავის რეკომენდაციებში ხაზს უსვამს თითოეული თავისუფლება აღკვეთილი პირისთვის ოჯახთან მყარი კავშირის შენარჩუნების მნიშვნელობას. კომიტეტის თანახმად, „აქ სახელმძღვანელო პრინციპად გვევლინება გარე სამყაროსთან კონტაქტების შენარჩუნების მხარდაჭერა; ასეთი კონტაქტის ნებისმიერი შეზღუდვა უნდა ეფუძნებოდეს სერიოზული ხასიათის უსაფრთხოების მოსაზრებებს ან არსებულ მატერიალურ

რესურსებთან დაკავშირებულ პრობლემებს.<sup>71</sup> ნელსონ მანდელას წესების 106-ე პუნქტი ეხება პატიმრის ოჯახის წევრებთან ურთიერთობის შენარჩუნების საკითხს, კერძოდ, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირების შენარჩუნებას და განმტკიცებას, რაც სასურველადაა მიჩნეული და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

2015 წელს N6 დაწესებულებაში განხორციელდა 521 ხანმოკლე პაემანი. 2014 წელთან შედარებით პატიმრების რაოდენობის შემცირებასთან ერთად შემცირებულია ხანმოკლე პაემნით სარგებლობის მაჩვენებელი. დადებითად უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წელს N6 დაწესებულებაში დისციპლინური სახდელის სახით ხანმოკლე პაემნის შეზღუდვა არ გამოყენებულა, ამასთან, ხანმოკლე პაემნით წახალისების 19 შემთხვევა დაფიქსირდა. მიუხედავად აღნიშნულისა, საყურადღებოა ის ფაქტი, რომ ყველა პატიმარს არ უსარგებლია მისთვის კანონით მინიჭებული უფლებით. 2015 წელს თვის განმავლობაში N6 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების დაახლოებით მესამედი სარგებლობდა ხანმოკლე პაემნის უფლებით.

მსჯავრდებულთა მიერ 2015 წლის განმავლობაში ხანმოკლე პაემნით სარგებლობის მონაცემები თვეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

თვეები	ხანმოკლე პაემანი	პატიმართა რაოდენობა
იანვარი	36	118
თებერვალი	30	112
მარტი	43	120
აპრილი	48	118
მაისი	47	118
ივნისი	43	124
ივლისი	48	121
აგვისტო	42	122
სექტემბერი	42	119
ოქტომბერი	50	133
ნოემბერი	47	134
დეკემბერი	45	138
<b>სულ</b>	<b>521</b>	

ევროპული ციხის წესების 24.4 წესის თანახმად, პაემნების ორგანიზება ისე უნდა განხორციელდეს, რომ პატიმრებს საშუალება მიეცეთ, შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.

<sup>71</sup> წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობის ან დასჯის აღკვეთის ევროპის კომიტეტი (CPT). წამების საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტის საერთო ანგარიშების სარეზოლუციო ნაწილები. სტრასბურგი, 18 აგვისტო 2000 წ. გვ. 37.



აღსანიშნავია, რომ N6 დაწესებულებაში ხანმოკლე პაემანი ხორციელდება შუშით გადატიხრულ ოთახში. ასეთ შემთხვევაში პატიმარი მოკლებულია ოჯახის წევრებთან ყოველგვარი ფიზიკური ურთიერთობის საშუალებას. მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია ფიზიკური გამყოფი ბარიერები, მნიშვნელოვანია, რომ ფიზიკური ურთიერთობის საშუალება იყოს აღიარებული ნორმა. ხოლო, ნებისმიერი გადაწყვეტილება, რომლითაც ხდება ფიზიკური ურთიერთობის შეზღუდვა, უნდა იყოს გონივრული, დასაბუთებული და პროპორციული იმ მიზნის მიღწევისა, რისთვისაც მსგავსი შეზღუდვა წესდება. გარდა ამისა, ფიზიკური ურთიერთობის შეზღუდვის შესახებ გადაწყვეტილება უნდა დაექვემდებაროს რეგულარულ გადახედვას. სხვა შემთხვევაში, მსგავსი ჩარევა პატიმართა პირად და ოჯახურ ცხოვრებაში, გამართლებული არ იქნება.

სასულიერო პირებთან შეხვედრის უზრუნველსაყოფად, დაწესებულების ხანმოკლე პაემნების სივრცეში გამოყოფილია 1 იზოლირებული კაბინა. კაბინაში მინის გამყოფი ბარიერი გამოჭრილია ისე, რომ სასულიერო პირმა შეძლოს რელიგიური რიტუალების ჩატარება (ზიარება და სხვა). აღნიშნულ კაბინაში არ არის ხელოვნური სავენტილაციო სისტემა. ბუნებრივი ვენტილაცია კი პატიმრის მხრიდან კარების თავზე არსებული ფანჯრის გაღებით არის შესაძლებელი, რაც არასაკმარისია. გარდა ამისა, აღნიშნული ფანჯრის გაღების შემთხვევაში ირღვევა სასულიერო პირთან საუბრის (აღსარება) კონფიდენციალობა.

ოჯახთან კონტაქტი წარმოადგენს ადამიანის ფუნდამენტალურ უფლებას. ეს იმას ნიშნავს, რომ პატიმრებისა და მისი ოჯახის წევრების ვიზიტი არ უნდა ჩაითვალოს, როგორც პრივილეგია. მანდელას წესების 43-ე წესის მესამე პუნქტში აღნიშნულია, რომ ოჯახთან კონტაქტის შეზღუდვა დაშვებულია მხოლოდ შეზღუდული პერიოდით და იმ შემთხვევაში, თუ ამას მკაცრად მოითხოვს უსაფრთხოებისა და წესრიგის შენარჩუნების ინტერესები.

ევროპული ციხის წესები დიდ მნიშვნელობას ანიჭებს პატიმრების უფლებას, პაემნების საშუალებით ხშირი ურთიერთობა იქონიონ ოჯახის წევრებთან.<sup>72</sup> აღნიშნული წესები ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პაემნების ორგანიზაცია ისე უნდა განხორციელდეს, რომ საშუალება მიეცეთ პატიმრებს შეინარჩუნონ და განავითარონ ოჯახური ურთიერთობები შეძლებისდაგვარად ნორმალურ გარემოში.<sup>73</sup> ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლება წარმოადგენს მნიშვნელოვან შესაძლებლობას პატიმარსა და მის ოჯახს შორის კავშირის შენარჩუნებისა და განმტკიცებისათვის და ემსახურება ორივე მხარის ინტერესებს.

პატიმრობის კოდექსის მე-17<sup>2</sup> მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, ხანგრძლივი პაემანი არ ეძლევა განსაკუთრებული რისკის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს. პატიმრობის კოდექსის დათქმა, რომელიც განსაკუთრებული რისკის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულებს უკრძალავს ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის უფლებას, წარმოადგენს ბლანკეტური ხასიათის პირდაპირ შეზღუდვას, რომელიც არ იძლევა ლეგიტიმური მიზნის გათვალისწინების შესაძლებლობას. აღსანიშნავია, რომ

<sup>72</sup> ევროპის ციხის წესები, წესი 24.1.

<sup>73</sup> ევროპული ციხის წესები, წესი 24.4.

დაწესებულებაში განთავსებული ის მსჯავრდებულები, რომელთა საშიშროების რისკის სახეც რისკების შეფასების გუნდის მიერ არაა დადგენილი, რჩებიან დაწესებულებაში სხვა მსჯავრდებულებისაგან განცალკევებით და მათზე ვრცელდება დეპარტამენტის დირექტორის მიერ განსაზღვრული თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების ტიპის შესაბამისი სასჯელის მოხდის პირობები, დაწესებულების ინფრასტრუქტურის გათვალისწინებით.<sup>74</sup> 2016 წლის 15 თებერვალს პენიტენციური დეპარტამენტის დირექტორისგან მიღებული MOC71600129582 წერილის თანახმად, 2015 წელს არც ერთი მსჯავრდებულის მიმართ არ განსაზღვრულა მომეტებული და მაღალი რისკის სახე. ამასთან, N6 დაწესებულებაში 2016 წლის 3 თებერვალს გადაყვანილი იქნა 19 მსჯავრდებული, რომელთაც განესაზღვრათ საშიშროების მაღალი რისკი.

საქართველოს კანონის პატიმრობის კოდექსის 65-ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, დახურული ტიპის დაწესებულებაში განთავსებულ მსჯავრდებულს უფლება აქვს 1 წლის განმავლობაში ჰქონდეს 2 ხანგრძლივი პაემანი, ხოლო წახალისების ფორმით - წელიწადში 1 დამატებითი ხანგრძლივი პაემანი. 2014 წელთან<sup>75</sup> შედარებით პატიმრების რაოდენობის<sup>76</sup> შემცირებასთან ერთად შემცირებულია ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის მაჩვენებელი. 2015 წელს განხორციელებული 167 ხანგრძლივი პაემნიდან 55 შემთხვევაში პაემნით ისარგებლა N8 დაწესებულებიდან გადაყვანილმა უვადო თავისუფლება აღკვეთილმა მსჯავრდებულმა. შესაბამისად N6 დაწესებულებაში მოთავსებული მსჯავრდებულებიდან ხანგრძლივი პაემნით ისარგებლა 112 მსჯავრდებულმა. აღსანიშნავია, რომ 2015 წელს არც ერთ პატიმარს არ ჰქონდა განსაზღვრული მაღალი რისკის სახე, შესაბამისად N6 დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრები სარგებლობდნენ იმ უფლებებით, როგორც დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებაში.<sup>77</sup> აქვე აღსანიშნავია, რომ წახალისების ფორმად ხანგრძლივი პაემანი გამოყენებული იქნა 24 შემთხვევაში.

N6 დაწესებულებაში მსჯავრდებულთა მიერ 2015 წლის განმავლობაში ხანგრძლივი პაემნით სარგებლობის მონაცემები თვეების მიხედვით მოცემულია ქვემოთ, ცხრილში.

თვეები	ხანგრძლივი პაემანი
იანვარი	15
თებერვალი	12
მარტი	20
აპრილი	12
მაისი	10
ივნისი	11
ივლისი	15
აგვისტო	7

<sup>74</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N108, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ; მუხლი 98.

<sup>75</sup> 2014 წელს განხორციელდა 343 ხანგრძლივი პაემანი.

<sup>76</sup> 2014 წელს დაწესებულებაში საშუალოდ მოთავსებული იყო 378 პატიმარი.

<sup>77</sup> პატიმრობის კოდექსი, მუხლი 65, ნაწილი I, „ბ“ ქვეპუნქტი.

სექტემბერი	15
ოქტომბერი	15
ნოემბერი	16
დეკემბერი	19
<b>სულ</b>	<b>167</b>

სატელეფონო საუბრების უფლება მსჯავრდებულისთვის/ბრალდებულისთვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს უფლებას წარმოადგენს, რაც ხელს უწყობს პატიმრის ოჯახის წევრებთან და მეგობრებთან მჭიდრო კავშირის შენარჩუნებას. პატიმრობის კოდექსის მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ა.დ“ ქვეპუნქტის თანახმად, ბრალდებულს/მსჯავრდებულს უფლება აქვს ისარგებლოს სატელეფონო საუბრებით და მიმოწერით.

2016 წლის 10 თებერვალს საპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრების N6 დაწესებულებაში ვიზიტის დროს ტელეფონის აპარატები განთავსებული იყო საცხოვრებელი კორპუსის დერეფნებში, სამორიგეო ოთახის გვერდით. მართალია, სამორიგეო ოთახიდან გამოტანილი იქნა ტელეფონის აპარატები, მაგრამ კვლავ პრობლემად რჩება საუბრის კონფიდენციალობის დაცვა. აღსანიშნავია, რომ დაწესებულების ტერიტორიაზე პატიმრის ნებისმიერი გადაადგილება დაწესებულების თანამშრომელთან ერთად ხდება, ამასთან საკნიდან გამოსვლისთანავე მსჯავრდებულებს, ვისაც საშიშროების მაღალი რისკი აქვს განსაზღვრული, ხელებს უკრავენ ზურგს უკან ხელბორკილებით.<sup>78</sup> შესაბამისად სატელეფონო საუბრის დროს პატიმართან მუდმივად არის დაწესეულების თანამშრომელი, რაც შეუძლებელს ხდის საუბრის კონფიდენციალობის დაცვას. მნიშვნელოვანია ტელეფონის აპარატები განთავსებული იქნას იმგვარად, რომ შესაძლებელი იყოს საუბრის კონფიდენციალობის დაცვა.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის წევრებთან გასაუბრების დროს პატიმრები, რომელთაც განსაზღვრული აქვთ საშიშროების მაღალი რისკი უკმაყოფილებას გამოხატავენ თვეში მხოლოდ 1 სატელეფონო ზარის განხორციელების უფლებასთან მიმართებით, რომელიც მხოლოდ 10 წუთი გრძელდება.<sup>79</sup> იმ პირობებში, როდესაც მსჯავრდებულებს, რომელთაც განსაზღვრული აქვთ მაღალი რისკი, არ ეძლევათ ხანგრძლივი პაემანი, ერთი თვის განმავლობაში ერთი ხანმოკლე პაემანი და ერთი სატელეფონო ზარი ვერ უზრუნველყოფს მსჯავრდებულის მიერ ოჯახთან სათანადო ურთიერთობის შენარჩუნებას. ამდენად, მნიშვნელოვანია შევიდეს ცვლილება პატიმრობის კოდექსში და ამ კატეგორიის პატიმრებს მიეცეთ დამატებითი სატელეფონო ზარების განხორციელების შესაძლებლობა.

N6 დაწესებულების დებულების თანახმად, მსჯავრდებულები ვალდებულნი არიან დაწესებულების დირექტორს მიაწოდონ მათი საკონტაქტო ნომრები, რომლებთანაც

<sup>78</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N108, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ; მუხლი 19.1.

<sup>79</sup> პატიმრობის კოდექსი, მუხლი 66<sup>3</sup>

განხორციელებენ სატელეფონო ზარებს.<sup>80</sup> ამ ნომრების გარდა, ვერ შეძლებენ სხვა ნომრებზე ზარის განხორციელებას, თუ ხელახლა არ მიმართავენ დაწესებულების დირექტორს წერილობით და არ შეცვლიან ტელეფონის ნომერს. აღსანიშნულის გამო პრობლემური ხდება პატიმრის მიერ ისეთ უწყებებთან დაკავშირება, როგორცაა სახალხო დამცველის ოფისი, გენერალური ინსპექცია და სხვა, რადგან აღნიშნული წესი ამ ნომრებზეც ვრცელდება.

წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი<sup>81</sup> მიუთითებს, რომ ინსპექტირებისა და საჩივრების განხილვის ეფექტური პროცესი არის თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში არასათანადო მოპყრობისგან დაცვის ფუნდამენტალური გარანტია. პატიმრებს უნდა ჰქონდეთ საჩივრის შეტანის შესაძლებლობა როგორც თავისუფლების აღკვეთის დაწესებულების სისტემის ფარგლებში, ისე მის გარეთ, მათ შორის - სათანადო უწყებებთან კონფიდენციალურად დაკავშირების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ სახალხო დამცველთან ხელმისაწვდომობა წარმოადგენს არასათანადო მოპყრობისგან დაცვის მნიშვნელოვან გარანტიას, განსაკუთრებით კი იმ პატიმრებისათვის, რომელთაც განსაზღვრული აქვთ მაღალი რისკი, რომელთა სოციალური იზოლაციის პირობებში ყოფნა შეიცავს არასათანადო მოპყრობის დიდ რისკს. მნიშვნელოვანია, რომ კანონმდებლობაში შევიდეს ცვლილება და პატიმრებს, რომელთაც განსაზღვრული აქვთ მაღალი რისკი ჰქონდეთ შესაძლებლობა ნებისმიერ დროს დაუკავშირდნენ სახალხო დამცველს და ინსპექტირების სხვა ორგანოებს.

სპეციალური პრევენციული ჯგუფის ვიზიტების დროს დადგინდა, რომ N6 დაწესებულებაში პრობლემას წარმოადგენდა კონფიდენციალური წერილის გაგზავნა, კერძოდ, შეუძლებელია კონფიდენციალური საჩივრის დასაწერად საჭირო კონვერტის მიღება ისე, რომ არ მოხდეს პატიმრის იდენტიფიცირება. კონვერტის მისაღებად პატიმარი მიმართავს სოციალურ სამსახურს.

განხორციელებული ვიზიტების დროს დადგინდა, რომ პატიმრებს არ აქვთ საშუალება კონფიდენციალურად დაწერონ საჩივარი იმ შემთხვევებში, როცა მათ წერილის დაწერაში დახმარება სოციალური სამსახურის თანამშრომლისგან სჭირდებათ. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ სოციალური სამსახურის თანამშრომლები, თავისივე უსაფრთხოების დასაცავად საკანში უსაფრთხოების თანამშრომელთან ერთად შედიან. აღნიშნული კი არღვევს საჩივრის შინაარსის კონფიდენციალურობას და აჩენს უნდობლობას დაწესებულების სოციალური სამსახურის მიმართ. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კონფიდენციალური საჩივრის დაწერის შემდგომ, დაწესებულებაში მყოფი პატიმარი საჩივრის ყუთამდე ვერ მივა თანმხლები პირის (უსაფრთხოების ან რეჟიმის თანამშრომლის) გარეშე.

საქართველოს კანონის „პატიმრობის კოდექსი“-ს მე-14 მუხლის პირველი ნაწილის „ა“ პუნქტის „ა.დ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ბრალდებული საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით უზრუნველყოფილი უნდა იყოს მიმოწერით. ამავე კანონის მე-16 მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია ექვემდებარება შემოწმებას, რაც

---

<sup>80</sup> საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის ბრძანება N108, საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს N6 პენიტენციური დაწესებულების დებულების დამტკიცების შესახებ; მუხლი 43, პუნქტები 1,2 და 3.

<sup>81</sup> წამების პრევენციის ევროპული კომიტეტი, სტანდარტები, პარ. 54, გვ. 27.

მოიცავს ვიზუალურ დათვალიერებას, კორესპონდენციის შინაარსის გაცნობის გარეშე, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, დასაბუთებული ვარაუდისას, თუ შესაძლებელია ისეთი ინფორმაციის გავრცელება, რომელიც საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ წესრიგს, საზოგადოებრივ უსაფრთხოებას ან სხვა პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, ადმინისტრაცია უფლებამოსილია გაეცნოს კორესპონდენციის შინაარსს და საჭიროებისამებრ შეზღუდოს მისი ადრესატისთვის გაგზავნა, რის თაობაზედაც დაუყოვნებლივ ეცნობება კორესპონდენციის გამგზავნს. ამავე მუხლის მე-6 ნაწილი უკრძალავს პენიტენციური დაწესებულების ადმინისტრაციის შესაბამის უფლებამოსილ პირს შეაჩეროს ან/და შეამოწმოს ბრალდებულის/მსჯავრდებულის კორესპონდენცია, რომლის ადრესატი ან ადრესანტი არის საქართველოს პრეზიდენტი, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი, საქართველოს პარლამენტის წევრი, სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპის სასამართლო, საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელიც შექმნილია საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროს საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, საქართველოს სამინისტრო, დეპარტამენტი, საქართველოს სახალხო დამცველი, დამცველი, პროკურორი.

2015 წლის 17 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულები იმყოფებოდნენ პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში, სადაც შეხვდნენ და ესაუბრნენ ბრალდებულ გ.ო.-ს ბრალდებულთან შეხვედრა განხორციელდა მისი ინტერესების დამცველი ადვოკატის თანდასწრებით.

2015 წლის 17 სექტემბერს საქართველოს სახალხო დამცველის რწმუნებულების მიერ შედგენილი ოქმიდან, 2015 წლის 24 სექტემბრის ადვოკატის ახსნა-განმარტებითა და 2015 წლის 01 ოქტომბრის ბრალდებულ გ.ო.-ს ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, რომ გ.ო.-ს და მის ადვოკატს 2015 წლის 17 სექტემბერს სურდათ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეეტანათ შუამდგომლობა ალკვეთის ღონისძიების - პატიმრობის გაუქმების მოთხოვნით.

რწმუნებულების მისვლისას ბრალდებულ გ.ო.-ს ადვოკატმა განმარტა, რომ შუამდგომლობა წაღებული ჰქონდა პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულების სოციალური განყოფილების თანამშრომელს, ბრალდებულის ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურების მიზნით. ადვოკატმა აქვე განმარტა, რომ იყვნენ დროში შეზღუდულები, ვინაიდან უნდა მოესწრო ქ.თბილისში დაბრუნება და იმავე დღეს შუამდგომლობის თბილისის საქალაქო სასამართლოში წარდგენა.

სოციალური განყოფილების თანამშრომელმა ბრალდებულ გ.ო.-ს შუამდგომლობა, გაურკვეველი საფუძვლით, გადასცა პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულების დირექტორს, რომელიც სრულად გაეცნო ბრალდებულის შუამდგომლობას და უარი განაცხადა ბრალდებულის ხელმოწერის ნამდვილობის დადასტურებაზე. დირექტორმა მოითხოვა შუამდგომლობიდან იმ ნაწილის ამოღება (რამდენიმე ფურცელი), რომელიც ეხებოდა ბრალდებულის მიმართ განხორციელებული შესაძლო არასათანადო მოპყრობის ფაქტებსა და სახელმწიფო მოხელეების მხრიდან სხვა კანონშეუსაბამო ქმედებებს. N6 დაწესებულების დირექტორმა სახალხო დამცველის რწმუნებულებთან საუბრისას განაცხადა, რომ დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკის

შესაბამისად, სრულად გაეცნო ბრალდებულის შუამდგომლობას (აღკვეთის ღონისძიების გაუქმების თაობაზე), ვინაიდან დოკუმენტი არ იყო მოთავსებული დალუქულ კონვერტში და შესაბამისად, მისი მტკიცებით, იგი არ წარმოადგენდა კონფიდენციალური ინფორმაციის მატარებელ კორესპოდენციას.

აღნიშნულთან დაკავშირებით სახალხო დამცველმა 2015 წლის 17 ოქტომბერს N15-4/8744 წინადადებით მიმართა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულების დირექტორისა და ამავე დაწესებულების სოციალური მუშაკის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ. სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს გენერალური ინსპექციიდან 2016 წლის 9 თებერვალს მიღებული MOC31600111046 პასუხის თანახმად, გენერალური ინსპექციის მიერ ჩატარდა სამსახურებრივი შემოწმება, რომლის საფუძველზეც N6 დაწესებულების დირექტორს დისციპლინური სახდელის სახით დაეკისრა „შენიშვნა“, ხოლო სოციალური სამსახურის თანამშრომელს დაეკისრა „გაფრთხილება“.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვინაიდან პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულების დირექტორმა ყოველგვარი დასაბუთების გარეშე განახორციელა ბრალდებულის კორესპოდენციის შინაარსის გაცნობა და ამავდროულად განმარტა, რომ მსგავსი პროცედურა არის პენიტენციური დეპარტამენტის N6 დაწესებულებაში დამკვიდრებული პრაქტიკა, მან დაარღვია ბრალდებულის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება. რაც შეეხება სოციალური სამსახურის თანამშრომელს, რომელსაც უშუალოდ ევალება პატიმრის უფლებების დაცვა და მათი განხორციელების უზრუნველყოფა, ასევე, ბრალდებულის/მსჯავრდებულის მიმოწერის საიდუმლოების დაცვა, არ დაიცვა ბრალდებულის მიმოწერის საიდუმლოება და დაარღვია მისი პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

ასევე, აღსანიშნავია, რომ კონფიდენციალური კონვერტით გაგზავნილ წერილებზე პატიმრებს შესაბამისი უწყებიდან პასუხი ეგზავნებათ დახურული კონვერტით. სპეციალური პრევენციული ჯგუფის შესწავლის შედეგების მიხედვით, პენიტენციური დაწესებულების თანამშრომლები პატიმრის თანდასწრებით ხსნიან კონვერტს, აცნობენ შინაარსს და შემდგომ ადმინისტრაციის შენობაში მიაქვთ პატიმრის პირად საქმეში ჩასადებად. შესაბამისად, ადმინისტრაციის თანამშრომლებს შესაძლებლობა ეძლევათ უგულვებელყოფონ კანონის მოთხოვნა და გაეცნონ კონფიდენციალური წერილის შინაარსს.

**რეკომენდაცია სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრს:**

- ❖ უზრუნველყოს ხანმოკლე პაემნის განხორციელება მინის გამყოფი ბარიერის გარეშე
- ❖ ტელეფონების აპარატები განთავსდეს იმგვარად, რომ პატიმარმა შეძლოს სატელეფონო ზარის თანამშრომლის მოსმენის გარეშე განხორციელება
- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა სოციალური სამსახურის თანამშრომელი პატიმარს კონფიდენციალური საჩივრის შედგენაში ეხმარებოდეს უსაფრთხოების დაცვის თანამშრომლის დაუსწრებლად, თუკი არ არსებობს სოციალური სამსახურის



თანამშრომლის მიმართ საფრთხის ლიგიტიმური და დასაბუთებული მოლოდინი

- ❖ მიიღოს ყველა საჭირო ზომა, რათა დახურული კონვერტებით მიღებული პასუხები პატიმრებს გადაეცეთ კონფიდენციალურად, ისე, რომ ადმინისტრაციის თანამშრომლებს არ ჰქონდეთ მათი წაკითხვის შესაძლებლობა.
- ❖ სასულიერო პირებთან შეხვედრისთვის გამოიყოს ოთახი, სადაც დაცული იქნება საუბრის კონფიდენციალურობა და უზრუნველყოფილი იქნება სათანადო ვენტილაცია